საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკარტისიბაგე ესაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 17-18 ოქტომბერი. 2022 წ. №162 (9500) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ჩვენთვის აუცილებელია მტრის ხატის შექმნა. ჩვენ ხალხს ვეუბნებით, რომ მტერი უკრაინელები არიან – ანუ იგივე რუსები, რომლებშიც ეშმაკი ჩასახლდა. ვეუბნებით, რომ მივდივართ არა მათ მოსაკლავად, არამედ მათ გადასარწმუნებლად, მაგრამ თუ არ უნდათ, გადავარწმუნოთ, მაშინ დავხოცავთ. დავხოცავთ იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება – მილიონს, ხუთ მილიონს, სულაც მთლიანად ამოვწყვეტთ!“

იბრძოლებენ თუ არა პუტინის „РУZСКИЙ МИР“-ისთვის სამხრეთკავკასიელები?!

იხ. 8 გვ.

სიკვდილს სიცოცხლე ამარცხებს!..

13 ოქტომბერს დატრიალებულ ტრაგედიას ორი გმირი ჰყავს. ანგელოზად ქცეული-პატარა მარიტა და უბრალო, რიგითი მებაღე **დევი მეზურნიშვილი**.

უცნაური ხალხი ვართ ქართველები, ჭირში დგომა მართლაც, რომ კარგად ვიცით. თუ შეიძლება, რომ ამ ტრაგედიას, რაიმე ნათელი წერტილი ჰქონდეს, სწორედ იმის გაცნობიერებაა, რომ რიგითი მებაღე დევი მეზურნიშვილის მსგავსი ადამიანები ჯერ კიდევ დააბიჯებენ ამ ცოდვილ მიწაზე.

ალბათ სულ მცირე მადლიერების გამოხატულებაა, რომ სოციალურ ქსელში ერთმა ადამიანმა დადო ვიდეო, სადაც ხალხს მოგვიწოდა, რომ ამ საოცარი კაცისთვის, თუნდაც სიმბოლური დახმარება გაგვეწია და მიზერული თანხა ჩაგვერიცხა. (აღმოჩნდა, რომ იგი წლებია ქირით ცხოვრობს).

გმირმა, რომელმაც ტრაგედიის მეორე დღეს ინატრა, ნეტავ, მარიტაც გადამერჩინა და მე დავლუპულიყავიო, საკუთარ ანგარიშზე მოულოდნელად ჩარიცხული თანხის ნახვის მერე, თქვა, რომ „თქვენს შემოწირულობასაც სიკეთეს მოვახმარო“.

საზოგადოება გამოდის ინიციატიით, რომ დევი მეზურნიშვილს საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭოს.

მადლობა, უანგარო, გმირო ადამიანო, რომ ის ორი პატარა ბიჭი გადაგვირჩინე. სწორედ თქვენნაირი ადამიანები გვაძლევენ ძალას დავიჯეროთ, რომ სიკეთე არსად იკარგება, და რომ სიკვდილს ხშირად სიცოცხლე ამარცხებს...

რუსუდან ქოგულია

„რას ნიშნავს დეგენერაცია – ბიჭინა რატომ არის საქართველოში, საფრანგეთში, უდაბნოში, ალიასკაზე?..ნუთუ ეს არის დასავლეთის მოთხოვნა?“ 5

უკრაინაში ომის გამო 71 მილიონი ადამიანი სიღარიბის წინაშე დგას!

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თანახმად, რუსეთ-უკრაინის ომის გამო, დაახლოებით 71 მილიონი ადამიანი სიღარიბის წინაშე აღმოჩნდა, – ამის შესახებ Anadolu წერს.

„მოსალოდნელია, რომ ომის გავლენა სურსათსა და ენერგეტიკულ ფასებზე მსოფლიოში ღარიბთა რაოდენობას გაზრდის“, – წერს სააგენტო. Anadolu ხაზს უსვამს მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ პრობლემებს. ავტორი აღნიშნავს, რომ, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სასურსათო ინფლაცია ყველაზე მეტად დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებზე იქონიებს გავლენას.

შტერ ხოშტარიას ნაცისტმა დეკანოიძემ გაუსწრო!.. 2

თითიდან გამოწოვილი ფაქტების საფუძველზე ივანიშვილს სანქციებს არავინ დაადებს!

ყველანი ვლოცულობთ მარიტას სულისთვის

ასე როგორ იმეტებთ ოთხი შვილის მამას, რას ჰქვია - კალაძე მკვლელი! 3

„სულაჭერი“: სინათლე გვირაბის ბოლოს 4

ევროსაბჭო საქართველოს ყალბი, მოგონილი რეზოლუციით სჯის! 2



ევროსაბჭო საქართველოს ყალბი, მოგონილი რეზოლუციით სჯის!

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის ფედერაციასა და სხვა ძვეყნებში პრეზიდენტ პუტინის მოწინააღმდეგე პოლიტპატიმრების, მათ შორის უკრაინის მოძალადისა და საძართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საძმეების განხილვასა და მათ გათავისუფლებას ითხოვს. ამის შესახებ აღნიშნულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში – „უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიის შემდგომი ესკალაცია“, რომელიც ასამბლეამ ამ დღეებში დაამტკიცა.

რეზოლუციას კლინიკა „ვივამედიდან“ ექსპრეზიდენტი გამოეხმაურა.

„ევროპის საბჭოს ისტორიულ რეზოლუციაში ჩემი, როგორც პუტინის პირადი პატიმრის ჩართვა — სიტუაციის ზუსტი აღწერაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მახარებს. ეს აზიანებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას და მიმაჩნია, რომ ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ვნებს მეტი შინაგანი კონფრონტაცია და პირიქით, სჭირდება კონსოლიდაცია და საერთო ენის გამონახვა“, — წერს სააკაშვილი.

ევროსაბჭოს რეზოლუციას მმართველი გუნდის წევრი, **მიხეილ სარჯველაძე** ასე აფასებს:

„სამწუხაროდ, როცა პოლიტიკურად მიკერძოებულია მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიის EPP-ის რომელიმე წევრი, მოდის ინფორმაცია, რომ ვიღაცას ნაკლები სენსიტიურობა აქვს და ამაზე ნაკლებად აქვს გამახვილებული ყურადღება, მაგრამ საბედნიეროდ, ეს არ არის ის შემთხვევა, როცა დაუსრულებლად კამათს შეიძლება აზრი ჰქონდეს, შეიძლება საღად მოაზროვნე ადამიანები დავსხდეთ, გავარჩიოთ და ვთქვათ, რაღაც დარღვევაა თუ შეთითხნილია. პოლიტიკური პატიმრობა თვითონ ევროპის საბჭოს აქვს განმარტებული და მას ორი მთავარი მახასიათებელი უნდა ჰქონდეს, როცა შეთითხნილია ბრალდება, ან ისეთი სასჯელია ბრალდებულის მიმართ, რომელიც გამორიცხულია პოლიტიკური ფაქტორის გარეშე მიეღო. ახლა, არ მგონია, გირგვლიანის ან თუნდაც ვალერი გელაშვილის საქმესთან დაკავშირებით არ იმსახურებს საკაშვილი ციხეში ჯდომას“, — განაცხადა სარჯველაძემ.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრის, **ნიკოლოზ სამხარაძის** განცხადებით, ეს არის ფაქტების სრული დამახინჯება. მისივე თქმით, ფრჩხილებში არის მითითებული სააკაშვილის სახელი და გვარი, ძირითად ტექსტშიც კი ნახსენები არ არის!

„ეს პირველი შემთხვევა გახლავთ, როდესაც „ევროპის სახალხო პარტიის“ მხრიდან ბოლო მომენტში კეთდება ცვლილებები. ეს ცვლილებები ხშირად საერთოდ აცდენილია ფაქტებს. ადამიანი, რომლის სასამართლოც ახლა მიმდინარეობს საზღვრის უკანონოდ კვეთაზე, მთელმა ქვეყანამ იხილა, რომ საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. ყველა საქმეს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამ ფაქტის გამო ვერ შერაცხავ ამ ადამიანს პოლიტიკურ პატიმრად“, — აღნიშნა სამხარაძემ.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, ევროსაბჭომ აღნიშნული რეზოლუცია საქართველოს დასასჯელად მიიღო და დასჯას ხსნის იმით, რომ ქვეყანაში მეორე ფრონტი არ გაიხსნა.

„როგორ შეიძლება რეზოლუცია სერიოზულად მივიღოთ, როდესაც სწორედ სააკაშვილმა პუტინს საქართველოს ტერიტორიები გადასცა?! როგორ შეიძლება კაცი, რომელიც არის სამართლიანი სასამართლოს მიერ გასამართლებული, ის იყოს პუტინის პატიმარი?! ის არის ადამიანების მწამებელი და სისტემის შემქმნელი. მის მიმართ გამოტანილი განაჩენი სტრასბურგმა სამართლიანად სცნო“!.

ანალიტიკოსი **ლადო ბოჟაძის** განმარტებით, ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია სავალდებულო ხასიათის არ არის. მისივე თქმით, რეზოლუცია მოწოდების ხასიათს ატარებს, თუმცა მოწოდებაშიც უზუსტობაა. ბოჟაძის განცხადებით, ყველამ კარგად იცის, რომ ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარი არ არის და მისი საქმეების გადახედვას არც არავინ აპირებს.

„ევროსაბჭოს მიერ მომზადდა რეზოლუცია, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომს ეხებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკრაინული მხარისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ რეზოლუციას უფრო მეტი ადამიანი მისცემდა ხმას, მაგრამ ასე არ მოხდა. ლიზა იასკოსა და ხატია დეკანოიძის ინიციატივით გაჩნდა ცნობილი პუნქტი, რომელსაც მხოლოდ ნნ-მა ადამიანმა მისცა ხმა. რა თქმა უნდა, რეზოლუცია მნიშვნელოვანია, თუმცა, რეზოლუციის ეს ნაწილი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ნიშნავს იმას, რომ ეს არ იყო ისეთი მნიშვნელობის, რომ მეტი ხმა მიეღო, ვიდრე რეზოლუციის დანარჩენმა პუნქტებმა მიიღეს. რა თქმა უნდა, რეზოლუციაში სააკაშვილის ასე მოხსენიება საქართველოსთვის კარგი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არა „ქართულ ოცნებას“, არამედ საქართველოს ებრძვის და ეს ამ რეზოლუციიდანაც დადასტურდა. დადასტურდა ისიც, რომ უკრაინაში ადამიანები, რომლებიც იბრალებენ საქართველოსთან მეგობრობას, სინამდვილეში „ნაციონალური მოძრაობის“ მეგობრები არიან. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას საქართველოს მხრიდან როგორი მხარდაჭერა აქვს, უკრაინული დელეგაცია მაინც ვიწრო პარტიული ინტერესებიდან მიუდგა ამ საკითხს. შეიძლება ამას გარკვეული ახსნაც ჰქონდეს იმ თვალსაზრისით, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ოდესის გუბერნატორობაში გაცვალა. ეს ყველაფერი თავად მეტყველებს სააკაშვილის პოლიტიკურ ფიგურაზე. ეს რეზოლუცია სააკაშვილზე არ იმოქმედებს, ის არის მსჯავრდებული ორ საქმეზე, ხოლო ბრალდებული კიდევ სხვა საქმეზე, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს. ამიტომ ის საქართველოში დარჩება და სასჯელს ბოლომდე მოიხდის“...

ქეთი გიორგაძე

შტერ ხოშტარიას ნაცისტმა დეკანოიძემ გაუსწრო!..

თითიდან გამოწოვილი ფაქტების საფუძველზე ივანიშვილს სანქციებს არავინ დაადებს!

უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის აპარატის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის უარგუმენტო ბრალდებებს განაგრძობს. პოდოლიაკი საქართველოს სახელმწიფოს დამაზიანებელ ცილისწამებას არ ეშვება და კვლავ ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყანა რუსებს აძლევს საშუალებას, სანქციების გვერდის ავლით გარკვეული სახის ბიზნესსაქმიანობა განახორციელონ. პოდოლიაკი აცხადებს, რომ უკრაინელებისთვის ძალიან მტკივნეულია, რომ ადამიანები, რომლებიც მათ გვერდით უნდა ყოფილიყვნენ ძალიან ახლოს, მოულოდნელად, მათი ხელისუფლება პოლიტიკურ თამაშს იწყებს. თუმცა ჩნდება კითხვა რას გულისხმობს პოდოლიაკი ამ ახლოს ყოფნაში, რადგან ომის დაწყების დღიდან, საქართველო უკრაინას გვერდით უდგას, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ჰუმანიტარული დახმარებით და ლტოლვილების მიღების კუთხით.

რისი თქმა სურს პოდოლიაკს და ვინ არწმუნებს, მას რომ ბიძინა ივანიშვილის მისამართით მუდმივად უარგუმენტო და ცილისმწამებლური განცხადებები უნდა აკეთოს?

დავით ოქიტაშვილი:

მანქურთებო, თქვენი დროც მოვა!

ასე როგორ იმეტებთ ოთხი შვილის მამას, რას ჰქვია – კალაძე მკვლელი!

„არც ადვოკატი ვარ და არც არავის დაცვას ვაპირებ. ვამბობ სიმართლეს!

ახლა კარგად მომისმინეთ მანქურთებო! სხვების უბედურებაზე დაგეშილებო!

მოხდა უმძიმესი ტრაგედია — ამაზე არ ვდავობთ!

ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების შემდეგ, ახლა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია თბილისის მერი!

კახა კალაძეს ახლა ყველაზე მეტად ტკივა 13 წლის ბავშვის მამის ტკივილი, 13 წლის ანგელოზის დედის ცრემლი!

და თქვენ ვინ ხართ, ამ ტრაგედიაზე რომ გინდათ ააგოთ თქვენი მომავალი? ეს უდიდესი ტრაგედია პოლიტიკურ „მანტიაში“ რომ „შეფუთეთ“!

ჩემთვის ყველაზე მეტად გასაოცარი და საწყენიცაა ის, რაც იკადრეს ე. წ. „პეროიანებმა“ — ჯერ კიდევ გუშინ თბილისის მერია რომ აატალახეს, კონცერტებში ჩართვის გამო! საითაც გაიხედავდი ყველგან თვალში რომ გვეჩრებოდნენ, ოლონდ თვალში მოხვედროდნენ, ადგილი დაემკვიდრებინათ. არადა, ეს სულ არ სჭირდებოდათ, არ არის კახა კალაძე ის კაცი, ვინმე განასხვავოს, დაყოს — ჩემიანი, სხვისიანი! არც გააკეთა, არც გააკეთებს!

და, დღეს, სხვების შეცდომებისა თუ უპასუხისმგებლობის გამო, კახა კალაძეს ყველაზე მეტად რომ უჭირს, ეს ბინძური ბნელიტა გამოდის და ითხოვს გადადგეს კალაძე!

რატომ? მარიტა-მარიამი კალაძემ მოკლა? კალაძემ დაიფარა ხელი დამნაშავეს, თქვენ, ბნელიტამ რომ უკვე „დაადგინეთ“ მისი ვინაობა? თუ თქვენს „დაძახილზე“ უნდა გადადგეს, იმიტომ რომ, მერე ის მოვიდეს, ვინც „ფანჯრის მწმენდავად“ გაგაფორმებთ და ათასებს ჩაგიდებთ ჯიბეში?

გუშინ რომ ყელყელაობდნენ „თბილისობის“ მიღებაზე, დღეს ის ჟურნალისტები გაიძახიან, რომ თბილისის მერი დამნაშავეა! რაში, ამას არ აკონკრეტებენ!

გუშინწინ ეს ადამიანები კალაძის მეხოტბეები არ იყვნენ, მაგრამ როცა თბილისობის კონცერტსა და მიღებაზე დაუძახეს, არც დაფიქრებულან! ახალშეძენილი ბრენდებით მოიწონეს თავი — სასაცილოები! გადამალეთ უკვე კონცერტსა და მიღებაზე გადაღებული ფოტოები, მოასწარით? — დაგაფასეს, არ დაგყვეს, ისე როგორც მიშას დროს — ჩემიანები და სხვისიანები! და გამოდიხართ და ისე, რომ ჯერ ექსპერტიზას, გამოძიებას სიტყვა არ უთქვამს, დასკვნებს აკეთებთ — „ყველაფრისმცოდნენი“! თქვენ გგონიათ იმიტომ დაგიძახეს თბილისობაზე, რომ ვარსკვლავები ხართ? არა, ძვირფასებო, არ გაგრიყეს, იმიტომ რომ, კახა კალაძე თქვენგან განსხვავებით ადამიანია და სხვებს არ დაჩაგრავს, თორემ თქვენ რა გამოსაჩენები ხართ!

ასე როგორ იმეტებთ ოთხი შვილის მამას, ეს რეებს წერთ. რას ჰქვია — კალაძე მკვლელი! რას ნიშნავს ეს? „იმედში“ შემოგივარდათ გიგი უგულავა და ა.შ. და ამ დამარბევლებთან ერთად ახალ წელს სუფრას უსხედით, დარბევიდან სულ რამდენიმე თვეში. დღეს კი მეგობრად მოიხსენიებთ და თქვენ ითხოვთ კალაძის გადადგომას? ვერ ელირსებით!

კახა კალაძე არ უნდა გადადგეს! თბილისის მერად ის ხალხმა „დანიშნა“ და თუ ხალხი ჩათვლის საჭიროდ, თავად გადააყენებს!

ვნახეთ ჩვენ გუშინ, ვინ და რამდენი ითხოვდა თბილისის მერის გადადგომას — ეს რამდენიმე კაცი არაა საქართველო.

საქართველო ვართ ჩვენ, უმრავლესობა!

და ჩვენ თუ მოვითხოვთ თბილისის მერის გადადგომას, გადადგება!

ახლა ვის გამო გადადგეს, პოლიტიკურად ანგაჟირებულთა გამო, რომელთაც მარიტა მეფარიშვილის ოჯახის წუხილი არც კი აინტერესებთ და ანგელოზის იმქვეყნად გადასვლას, პოლიტიკურად იყენებენ? არავითარ შემთხვევაში!

გამძლეობას ვუსურვებ კახა კალაძეს, უამრავი სიკეთის გამკეთებელ ადამიანს! და ვიმედოვნებ, როცა სიმართლე დადგინდება, როცა ყველაფერი გაირკვევა, იმ „პეროებს“ ჩაგხედავთ თვალებში და გკითხავთ — კაცობა, გასაგებია არ იციო რა „ხილია“ და ადამიანებადაც რომ არ ვარგიხართ, ესეც არ იციო. თუ იციო და სხვაგვარად არ ძალგიძთ?

მანქურთებო, თქვენი დროც მოვა!“

ყველანი ვლოცულობთ მარიტას სულისთვის

მთელი საქართველო შეძრა თბილისში, ვაკის პარკში დატრიალებულმა ტრაგედიამ. დენმა დაარტყა შადრევანში ჩავარდნილი ბურთის ამოსაღებად შესულ ბავშვებს, 13 წლის მარიტა მეფარიშვილის სიცოცხლე კი შეიწირა, რომელიც თანაკლასელების მისაშველებლად შევიდა წყალში. გამოძიება დაადგენს ვისი დაუდევრობით მოხდა ტრაგედია. ეს უბედურება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ თითოეულ ჩვენგანს და ყველას ერთად, მეტი სიფხიზლე და პასუხისმგებლობა გვმართებს ტრაგიკული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“ თანაგრძნობას უცხადებს დაღუპული მოზარდის, პერსპექტიული ჩოგბურთელის მშობლებს და ახლობლებს, ყველას, ვინც მომხდარით საშინელი ტკივილით განიცადა. ნუგეშად დაგვრჩენია ვირწმუნოთ მარიტას მშობლებისადმი ჩვენი პატრიარქის სამძიმარში ნათქვამი: „გარდაცვალება არის დასაწყისი ახალი, მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ დროებით განგვაშორებს ახლობლებს“.

ვლოცულობთ პატარა მარიტა-მარიამის ნათელი სულისათვის.

გურამ სალარაძე,

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე, ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი

პოდოლიაკი ამბობს, რომ არსებობს გარკვეული „მტკიცებულებები“ იმასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთთან თანამშრომლობს. ეს განცხადება მან ფორმულას ეთერში გააკეთა.

პოდოლიაკის თქმით, ივანიშვილი შედის იმ ხალხის სიაში, რომლის სანქცირებასაც უკრაინა გამოაცხადებს.

...„უნდა გავიგოთ, რომ რუსეთი აუცილებლად წააგებს. ჩვენ საქართველო მართლა ძალიან გვიყვარს. ჩვენ გვესმის, რაც გაიარა საქართველომ. ქართველებსაც უყვართ დემოკრატია, თავისუფლება და კონკურენცია. ჩვენ გვესმის, რომ სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა თავის ხალხს უნდა უყურებდეს, მერე კი ევროპას და მსოფლიოს ცივილიზებულ ნაწილს. რუსეთი ამ სიტუაციაში არ არის პარტნიორი, დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთმა არსებობა უნდა შეწყვიტოს, მან უნდა გაიაროს რევოლუციური ტრანსფორმაცია, საქართველოს კი, თუ რუსეთთან და ევროკავშირთან ინტეგრირება სურს, უკეთესი იქნება უკრაინასთან ერთად იაროს და ამისთვის საჭირო ყველა საშუალება დახუროს რუსეთისთვის“, — თქვა პოდოლიაკმა.

* * *

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ პირველ რიგში უცნაური ისაა, რომ უკრაინის თავზე ამხელა უბედურება ტრიალებს და მიხაილ პოდოლიაკი საქართველოზე და ბიძინა ივანიშვილზე განცხადებებისთვის იცლის. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ეს არის პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელი პირი, რომელიც კონკრეტულ დროს გარკვეული განცხადებებით აქტიურდება. მისი აზრით, პოდოლიაკს შეეძლო ივანიშვილზე სასაუბროდ სრულიად სხვა დრო შეერჩია, მაგრამ არა, მას აქვს კონკრეტული დღის წესრიგი, რომლითაც მოქმედებს.

„პოდოლიაკის უკან, ვფიქრობ, კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები და ჯგუფი დგას, რომელსაც ის ემსახურება. ეს არის კონკრეტული წრის მიერ გამიზნული ქმედება, სადაც ასევე დავით არახამიაც მოიაზრება. ეს ხალხი თავისი მჭიდრო კავშირებით, აქაურ ოპოზიციურ პარტიებთან არიან შემჩნეულები. მათი მთავარი მიზანი არის, რომ როგორმე ბიძინა ივანიშვილი სიაში მაინც მოახვედრონ. ივანიშვილის სახელი და გვარი ყურადღების ცენტრში მუდმივად იყოს მოქცეული. არ აქვს მნიშვნელობა ივანიშვილს სანქციებს დაადებენ თუ არა, მთავარია ამ ყველაფრის გარშემო მისმა სახელმა ხშირად იტრიალოს.

ამ სანქციებმა რაღაც გროტესკული სახე მიიღო, რადგანაც რაც ომი დაიწყო სულ ამაზეა საუბარი. ისმის ბრალდებები, რომ ივანიშვილი რუსებს რაღაცაში ეხმარება, მაგრამ ამის დამადასტურებელი ერთი კონკრეტული ფაქტი ვერ მოაქვთ. ხომ ამბობს პოდოლიაკი, რომ ფაქტებს წარმოადგენს, ამდენ საუბარს, ერთხელ მაინც დადოს რამე და სერიოზული, მიუკერძოებელი ადამიანები, ერთხელ და სამუდამოდ, ამ ამბავს განიხილავენ. სანქციებს ხომ უკრაინა არ ადებს? სანქციები ამერიკამ, ევროპამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაადონ. ასე ხელაღებით თითიდან გამოწოვილი ფაქტების საფუძველზე ივანიშვილს სანქციებს არავინ დაადებს“, — ამბობს ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, არსებობს გარკვეული ჯგუფი, რომელიც საქართველოს და უკრაინის პოლიტიკური სუბიექტებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ იმაზე, რომ ივანიშვილის სახელმა სანქციებთან დაკავშირებით მუდმივად იტრიალოს.

„შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ასეთი ჯგუფი არსებობს. ხატია დეკანოიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ის არის ერთ-ერთი მათგანი, ვინც ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე მუშაობს. ჩასულები იყვნენ ვაშინგტონში. იქ მაკფოლს შეხვდნენ, რომელიც არის ერმაკის კომისიის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე. სწორედ ეს კომისია იღებს სანქციების დაწესების შესახებ გადაწყვეტილებებს. მერე რეკომენდაციას აწვდიან შესაბამის ოფიციალურ სტრუქტურებს. სწორედ ამ ჯგუფში მოიაზრება ელენე ხოშტარიაც. ასევე სხვა ადამიანებიც, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ წევრები არიან ან მათთან დაახლოებული არასამთავრობო ორგანიზაციები. ერთი საკითხია, როცა ინფორმაცია კონკრეტული ოპოზიციური პარტიიდან მოდის და მეორეა, როცა „დამოუკიდებელი“ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ხომ კარგად ვიციით ამ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ვინც არიან. აი, ასეთი წრეა შეკრული, რომელიც ცდილობს, რომ დასავლეთი დაარწმუნოს იმაში, ივანიშვილი და მისი გარემოცვა როგორმე ამ სანქციებში მოახვედრონ“, — ამბობს ანჯაფარიძე.

ანჯაფარიძე ამბობს, რომ ოპოზიციის მთავარი მიზანია ხელისუფლება ჩამოშალონ და ფიქრობენ თუკი მთავარ „დარტყმას“ ივანიშვილზე გააკეთებენ, ამას შეძლებენ.

* * *

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი აცხადებს, რომ პოდოლიაკს და არახამიას თვეში ერთხელ ბრალდების ციკლი დასჩემდათ... ისინი ცდილობენ საქართველო წარმოაჩინონ სანქციების დამრღვევად და თვეში ერთხელ მაინც უნდა დაგვემუქრონ.

„ამ ადამიანების ინფორმატორები და ყალბი მტკიცებულებებით მომმარაგებელი პირები ელენე ხოშტარია, ხატია დეკანოიძე და მისნაირები არიან. უფრო ხშირად იტყუებიან და საზოგადოებას ატყუებენ, თითქოს საქართველოში სანქცირებული ცისტერნები, გემები შემოდიან. ასევე სანქცირებული თვითმფრინავები ჩვენს საჰაერო სივრცეს არღვევენ. გასაკვირი არაფერია, მაგრამ გვახსოვს არა მხოლოდ პოდოლიაკის და სხვა ცალკეული ჩინოსნების პასუხად, თავად დასავლელმა სპეცსამსახურებმა თქვეს, რომ მათ არ გააჩნიათ არანაირი მყარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საქართველო გვერდის ავლით, თავის ტერიტორიაზე აკრძალულ პროდუქციას თუ საგნებს უშვებს. აქაც ლოგიკაში არიან გაჭედილები. ჩვენს ხელისუფლებას ხან პრორუსულობას აბრალებენ, ხან აბრალებენ, რომ ქერჩის ხიდის აფეთქებაში ჩვენც ვმონაწილეობდით. ამ დროს პირიქით, საქართველო იმ ზუსტ დიპლომატიურ ნაბიჯებს ახორციელებს, რაც საერთაშორისო ასპარეზზე უნდა განახორციელოს. არადა ბრალდებების მთელი კორიანტელი გვესმის. ვისგან გვესმის, იმ ლუზერებისგან, რომლებსაც აღარანაირი რეიტინგი რომ აღარ აქვთ. უბრალოდ, ჯერჯერობით, მედია საშუალებები აქვთ და საზოგადოებას წამლავენ.

წლობით გავრცელებული ტყუილებით და ფეიკებით საზოგადოებაში სანდოებიც აღარ არიან. ინფორმატორებად და წყაროებად ჰყავთ ის სუბიექტები, რომლებიც არათუ ქართულ პოლიტიკაში, არამედ რეგიონალურ პოლიტიკაშიც ვერ ერკვევიან. ალიევმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ კავკასიაში მშვიდობა უნდა იყოს. აზერბაიჯანმა, საქართველომ, სომხეთმა ახალი ალიანსი უნდა შევქმნათ, რათა რეგიონი განვითარდეს. როდესაც ეს შუა დერეფანი ახალი ნაბიჯების გადადგმას იწყებს, ამ დროს კი უცბად პოდოლიაკების, არახამიების და სხვათა ცრუ მოწოდებები გაისმის, რომ აქ მეორე ფრონტი უნდა გავხსნათ. თვითონ უკრაინას და ევროპას ეკონომიკურად და სოციალურად ეს ალტერნატიული დერეფანი გადაეკეტება“, — ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, ამას კარგად ხვდებიან პოლიტიკურად ნეიტრალური ჯგუფები დასავლეთშიც და ამერიკაშიც. ამიტომ პოდოლიაკის მსგავსი ადამიანების განცხადებებზე უკვე საუბარიც კი ზედმეტი ხდება.

ლიკა ბერიკაშვილი

„სულაჟერი“: სინათლე გვირაბის ბოლოს?

ბოლო წლებში მსოფლიო ჯანდაცვის სისტემა არაერთი სერიოზული გამოწვევის, მათ შორის შიდსის, ფრინველისა თუ ღორის გრიპის და სხვების წინაშე დადგა, თუმცა კი თავისი მასშტაბითა და მსხვერპლის ოდენობით, ყველაზე საშიში კოვიდ 19-ის პანდემია გახდა. ამ სენის სავალალო შედეგია ასიათასობით გარდაცვლილი ადამიანი დედამიწის უკლებლივ ყველა კუთხეში და კიდევ უფრო მეტი — ის ხალხი, ვინც, მართალია, ავადმყოფობა გადაიტანა, მაგრამ მათი ჯანმრთელობის სრული რეაბილიტაცია ჯერაც არ მომხდარა. ამდენად, კოვიდ-19-თან ბრძოლა, განსაკუთრებით კი დაავადების პრევენცია, რაც თითოეული ადამიანის ორგანიზმის სათანადოდ „შეიარაღებას“ გულისხმობს, თანამედროვე მედიცინისა და ფარმაცევტიკის ერთ-ერთი უმთავრესი, უმოკლეს დროში გადასაჭრელი პრობლემაა.

დიდად სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით მომუშავე სწავლულ და პრაქტიკოს მოწინავე მედიკოსთა შორის ჩვენი თანამემამულეც, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის კლინიკური დოქტორი, ონკოლოგი ალექსანდრე თავართქილაძე გახლავთ.

საძმე ისაა, რომ ახალგაზრდა სწავლულის სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლდროინდელ თემებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი კორონავირუსთან გამკლავების მიმართულება იყო. ახლად შექმნილ პრეპარატს მკვლევარმა „სულაჟერი“ უწოდა. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში პროფესორ ა. თავართქილაძეს მხარში ამოუდგნენ ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუ“ და ცნობილი ბიზნესმენი დავით ხიდაშელი.

საქართველოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ პრეპარატ „სულაჟერს“ ბიოლოგიურად აქტიური დანამატის კლასიფიკაცია უკვე მიანიჭა. ამდენად, მისი გამოყენების რეკომენდაცია იმუნორეზისტენტობის ასამაღლებლად, ასევე ფილტვების ქრონიკულად მიმდინარე ინფექციების დროს, უკვე გაცემულია.

პროფესორ ა. თავართქილაძის თქმით, „სულაჟერი“, როგორც ანტივირუსული მოქმედების პრეპარატი, უკვე კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში შეიქმნა და იმედოვნებს, რომ ამავდროულად, ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კიდევ არაერთი სხვა გამოწვევის გამკლავების ეფექტიან საშუალებად იქცეევა.

— გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოვიდ-19-ის მიმდინარეობის როგორც სასტარტო, ისე შემდგომ ეტაპებზე, ანუ განვითარების სხვადასხვა ციკლებში, პრეპარატი სულაჟერი ამცირებს და ხშირად სრულადაც წყვეტს კორონავირუსის როგორც გამრავლებას, ისე შემდგომი სინდრომების ჩამოყალიბებას, — აცხადებს სწავლული მედიკოსი.

ყველაფერი კი 2018 წელს დაიწყო და შემდგომ სამეცნიერო კვლევებმა რამდენიმე ეტაპი გაიარა. ეს კი, მეცნიერის თქმით, დიდ ხარჯთან, ასევე დიდ რისკებთანაცაა დაკავშირებული, რამაც, ბუნებრივია, დაფინანსების წყაროს მოძიების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა.

— მრავალი ნიმუში მქონდა შეგროვილი, რომელთაც პოტენციურად ვირუსსაწინააღმდეგო ეფექტი შეიძლებოდა ჰქონოდა. შევეცადე პრეპარატ „სულაჟერის“ გარკვეულწილად მოდერნიზება და მისი კორონავირუსის ჯგუფის ინფექციებთან საბრძოლველად „მორგება“, — ჩვენი შიდა რესურსებით შევძელით 150-200 დოზის დამზადება, შემდგომ გადავწყვიტეთ თურქეთის ქალაქ სტამბოლის შესაბამისი ლაბორატორიისთვის მიგვმართა, სადაც „სულაჟერის“ სრული სპექტრული კვლევა ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ ოციათასჯერ განზავებითაც კი პრეპარატი არ კარგავდა ვირუსის გაუვნებელმყოფელ მოქმედებას, რაც, ცხადია, საუცხოო მაჩვენებელია.

ამდენად, პროფესორ ა. თავართქილაძის თქმით, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ თურქეთისა და მასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისმა სტრუქტურებმა ქართულ მხარეს თანამშრომლობა შესთავაზეს.

— მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, კვლევების გაგრძელება და პრეპარატ „სულაჟერის“ წარმოება სამშობლოში გადავწყვიტეთ, — ამბობს ბატონი ა. თავართქილაძე. — შესაბამისად, მივმართეთ რამდენიმე ორგანიზაციას და პირველები ვინც გამოგვეხმაურნენ, იყვნენ ბატონი დავით ხიდაშელი და ფონდი „ქართუ“. ეს უკანასკნელი საქმეში აქტიურად ჩაერთო პირველივე გასაუბრების შემდეგ და უდიდესი დახმარებაც აღმოგვიჩინა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

— თავდაპირველად ალექსანდრე თავართქილაძის შესახებ ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, სტრასბურგში მოღვაწეობისას შევიტყვე, როცა იგი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა და კვლევებით იყო დაკავებული, — ამბობს ცნობილი ბიზნესმენი, ჩვენი თანამემამულე დავით ხიდაშელი, რომელიც ყოველმხრივ მხარში უდგას მეცნიერს. **— მძვინვარების ორი წლის განმავლობაში კოვიდ 19-მა მსოფლიოს დიდი უბედურება მოუტანა, ამდენად მისი გამკლავება ძალიან დიდი საქმეა.**

ჩემი, როგორც პატრიოტი ქართველის და ბიზნესმენის დაინტერესება ის გახლდათ, რომ ქართველი მეცნიერისთვის ხელი შემეწყო ამ კეთილშობილური მისიის შესრულებაში და მსოფლიოსთვის კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, თუ რისი გაკეთების უნარი შეგვწევს.

დარწმუნებული ვარ, რომ ის, რასაც ჩვენ ბატონ ალექსანდრე თავართქილაძესთან ერთად ვაკეთებთ, მთელ მსოფლიოში იქნება მოთხოვნადი!..

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რატომ არ იაფდება პური?!

ხორბალი გაიაფდა, წისქვილები ამუშავდა - ზამთრის წინ ყველა პრობლემა მოხსნილია!

საძართველოში ხორბლის იმპორტი სრულად აღდგა და წისქვილკომბინატებიც ამუშავდა. ამის მიზეზი რუსეთში დიდი მოსავალი, შემცირებული ფასი და საძართველოში ადგილობრივი მარცვლეულის სწორი მართვაა. ეს ყველაფერი კი იძლევა იმის გარანტიას, რომ პურპროდუქტების უზრუნველყოფის მხრივ ზამთარი უპრობლემოდ უნდა გადავიტანოთ.

რუსეთი მარცვლეულის ექსპორტზე დაწესებული კვოტირების მოსახსნელად მზად არის. ასეთი ნაბიჯი ქვეყანაში ჭარბი მოსავლიანობით არის განპირობებული. „მოსავალი საკმაოდ დიდია, ამიტომ რამე სახის შეზღუდვა რაოდენობაზე ახლა არ იქნება“, — განაცხადა რუსეთის ვიცე-პრემიერმა **ვიქტორია აბრამჩენკომ.**

საექსპორტო კვოტა გამოითვლება მარცვლეულის ბალანსზე და ნაწილდება ისტორიული პრინციპით. საექსპორტო კვოტის შესახებ მონაცემები ყოველწლიურად 15 თებერვლიდან 30 ივნისამდე ქვეყნდება. გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს (რომელიც 2022 წლის 30 ივნისს დასრულდა) კვოტამ 11 მილიონი ტონა შეადგინა, მათ შორის იყო 8 მილიონი ტონა ხორბალი, რომელიც 206 კომპანიას შორის განაწილდა.

ფასების დასტაბილურებამ, რუსეთში ხორბლის დიდმა მოსავალმა და საბაჟო გადასახადის დაწევამ, საქართველოში წისქვილების ამოქმედების შესაძლებლობა გააჩინა. ხორბილისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის, **ლევან სილაგავას** ინფორმაციით, დღეს თითქმის ყველა დიდი წისქვილი მუშაობს.

„ჩვენთვის დღეს ვითარება შედარებით უკეთესია. გამომდინარე, მსოფლიო ბაზრებზე მარცვლეულის ფასების კლების ტენდენციიდან და რუსეთის კარგი მოსავლიდან. ასევე, მცურავი ბაჟიც საკმაოდ დაწეულია, ამან ხორბალთან ერთად, ფქვილზე ფასის კლებაც გამოიწვია. შედეგად, საქართველოში წისქვილკომბინატებს ამუშავების საშუალება მიეცათ.

2 თვეა ბაზარზე გარკვეული სტაბილიზაციაა და ხორბლის მარაგი უკვე არსებობს. აგვისტოში შემოვიდა 30 000 ტონა, სექტემბერში კი, ჩემი ინფორმაციით, 60 000 ტონა. როცა წისქვილებისთვის და ქვეყნისთვისაც სტაბილური დრო იყო, თვეში 60-70 ათასი ტონა იყო ხორბლის იმპორტი და ამ მიჯნაზე ჩვენ ფაქტობრივად, გავედით.

ახლა საქართველოში თითქმის ყველა დიდი წისქვილკომბინატი ამუშავებულია. ჩვენი კრიტერიუმებით, დაახლოებით 10 წისქვილი ითვლება დიდად. სხვადასხვა სიმძლავრით, მაგრამ ყველა მუშაობს. ამან სტაბილიზაციის ეფექტი შექმნა. გაიაფდა ფქვილი. მეპურეებიც ამბობენ, რომ მათაც გააიაფეს პური“, — განაცხადა სილაგავამ „ბიპიენთან“.

საქართველოში უკვე გამოკვეთილად სტაბილური ვითარებაა. პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი **მალხაზ დოლიძე** ფიქრობს, რომ კვოტირების მოხსნით უნდა ისარგებლოს საქართველომ და მეტი ხორბალი მოიმარაგოს.

„რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება ჩვენთვისაც შეცვლის ვითარებას. ამის შემდეგ კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება მარცვლეული. კვოტას იმიტომ ხსნიან, რომ ძალიან ბევრმა ქვეყანამ რუსეთს ზურგი შეაქცია, მოსავალიც კარგი მიიღეს, მსოფლიო ბაზარზე უკრაინული ხორბალი შევიდა. რუსეთშიც დიდი მოსავალია, რომელსაც უნდა დაბინავება და მაღალი დონის ლოჯისტიკა. ერთი სული აქვთ, მანქანები შევიდნენ და მარცვლეული გაყიდონ.

ამით უნდა ვისარგებლოთ და ხორბალი მოვიმარაგოთ, რათა მერე თავის ტკივილი არ იყოს რესურსებზე. ზამთრის და თოვლიანობის პირობებში, არ არის გამორიცხული, რამე შეფერხება. სწორედ ამიტომ უნდა გვქონდეს მარაგი.

ახლა რუსები დაინტერესებული არიან, რომ მარცვლეული გაყიდონ. სად წაიღებენ ამდენ ხორბალს? საუბარია ძალიან დიდ რაოდენობაზე და ხომ არ გააფუჭებენ“, — აღნიშნა დოლიძემ.

თუმცა გლობალური ბაზრებზე მაინც შეიძლება გაჩნდეს საფრთხე. საქმე ისაა, რომ ზამთრის დადგომისთანავე უკრაინიდან გაკეთებულ ე.წ. მარცვლეულის დერეფანს ვადა ეწურება. რას მოიმოქმედებს რუსეთი, არავინ იცის. მით უმეტეს, რომ თავად ძალიან დიდი მოსავალი მიიღო და რეალიზაციაში შეფერხებები აქვს.

„რას ნიშნავს დეგიქიანიზაცია – ბიქინა რატომ არის საქართველოში, საფრანგეთში, უდაგნოში, ალიასკაზე?.. ნუთუ ეს არის დასავლეთის მოთხოვნა?“

რა უკანონობის დაკანონებას ითხოვს დასავლეთი ივანიშვილთან დაკავშირებით? რატომ ვერ მოხერხდება სააკაშვილის სამედიცინო დასკვნის დამძიმება და რა შეცდომა დაუშვა ნინო ლომჯარიამ სახალხო დამცველის ინსტიტუტის დისკრედიტების ფონზე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ყოფილი პოლიტპატიმრები–ადამიანის უფლებებისთვის“ ერთ-ერთ დამფუძნებელთან, ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

— დეოლიგარქიზაცია, რასაც ევროპა საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვს, როგორც ჩანს, საკმაოდ ძნელად მისაღწევია. ხელისუფლება მზადაა ერთადერთი მოქმედი კანონის ანალოგი — უკრაინის კანონის ქართული ვარიანტი მიიღოს და ამით ევროპის 12 მოთხოვნიდან ერთი შეასრულოს.

უკრაინული მოდელის წინააღმდეგ ოპოზიცია ითხოვს კანონის იმ ვარიანტის მიღებას, რომელიც კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილს შეეხება. რამდენად რეალურია ამ ნაწილში პოზიციების შეჯერება და საბოლოო ჯამში, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება?

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ არავინ იცის, რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია და ყველა ამაზე ლაპარაკობს. არ იციან თვითონ იმ ადამიანებმაც ევროკავშირიდან, ვინც ამის გატარება და კანონის მიღება მოითხოვეს. ჩვენი ხელისუფლების ადგილას ევროკავშირის წარმომადგენლებს ვეტყოდი, მოდით, გამოყავით თქვენი იურისტები, ასეთი კანონი მათ დაწერონ და ჩვენ მას მივიღებთ, ანუ რომელიც შეეხება იმას, რაც მათ უნდათ — ბიძინა ივანიშვილს. როგორ შეიძლება და რას ნიშნავს ის, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი. შეიძლება არის კიდევაც, მაგრამ როგორ უნდა მოახდინონ დეოლიგარქიზაცია? მაშინ ივანიშვილი ან უნდა აორთქლდეს, ან უნდა გარდაიცვალოს, უბრალოდ, ფიზიკურად არ უნდა არსებობდეს. მისი ფიზიკური არსებობა ნერვებს უშლის მათ და იციან, რომ მისი ავტორიტეტი არის ის განმაპირობებელი ფაქტორი, რაც ხელს უშლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დააბრუნონ. სხვა ახსნა ამას არ აქვს, რადგან ოფიციალურად ივანიშვილი პოლიტიკაში არ ერევა. კარგი, ამბობენ ფარულად ერევაო, მაგრამ ამას ხომ დამტკიცება უნდა. დავუშვათ, კანონმა თქვა, რომ ფარულად არ უნდა ჩაერიოს. კარგი, ბატონო, ის ამბობს, არ ვერევი, ერთი კონკრეტული მაგალითი ხომ მაინც უნდა უთხრა. ვთქვათ, წავიდა საქართველოდან საფრანგეთში, ანტარქტიდაში და სადღაც გადასახლდა, მაგალითად, ალიასკაზე... იქიდან რა, თუ ჩარევა უნდა, ვერ ჩაერევა?!

— დასავლეთის მხრიდან ერთ კონკრეტულ ადამიანზე, ივანიშვილზე მორგებული კანონის მიღების მოთხოვნა ხომ უკანონოა?

— კი, ამას ითხოვენ. ჯერ ერთი, ითქვა, რომ დეოლიგარქიზაცია ევროკავშირში ნიშნავს დებიძინიზაციას. კითხვა დავსვათ, რას ნიშნავს დებიძინიზაცია ანუ ბიძინა უნდა გაქრეს ამ ქვეყნიდან? ამას ნიშნავს, სხვანაირად — რატომ არის საქართველოში? რატომ არის საფრანგეთში? უდაბნოში? რა მნიშვნელობა აქვს სად იქნება, თუ მათ არ სჯერათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის მართვაში არ მონაწილეობს?! უკრაინის კანონი როდესაც გადმოიტანეს და ეუბნებიან, აი, ბატონო, ხომ მოიწონა ვენეციის კომისიამ, ვნახოთ, საქართველოს მიმართ მოიწონებს თუ არა. არა, პრინციპულად სხვა კანონი უნდა იყოსო.

იყოს, მაგრამ როგორი კანონი?! ჯობია, თავისი იურისტები გამოყონ, რადგან სხვა კანონი არ არსებობს.

— რადგან უკრაინული კანონიც მიუღებელია ევროპისთვის, გამოდის, ისე შემოაგდო ეს მოთხოვნა 12-პუნქტიან გეგმაში, რომ საბოლოოდ მაინც უარი უთხრან საქართველოს კანდიდატის სტატუსზე.

— ჰოდა, ამიტომ ვამბობ, თუ ეს არის ლაკმუსის ქაღალდი 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებისა, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა უთხრას ევროპის წარმომადგენლებს, გამოგვიყავით თქვენი იურისტები ან დაგვიწერეთ კანონი, როგორ წარმოგიდენიათ და ჩვენ მას მივიღებთ. თეორიულადაც შეუძლებელია ეს კანონი ერთ კაცზე მიიღონ. გვარს და სახელს ხომ ვერ ჩაწერენ. რაც არ უნდა ჩაწერონ, ვიმეორებ, ის უნდა გაიწეროს, ივანიშვილმა რა არ უნდა გააკეთოს? რომ არ უნდა ფლობდეს ტელევიზიას? კი, ბატონო, არ ფლობს. არა ფლობო, ეუბნებიან, შენ გავლენა გაქვსო. მაშინ უნდა გვითხრან, კონკრეტულად, რა გავლენა არის. მას მართლაც აქვს საკმაოდ დიდი გავლენა, ოღონდ ეს გამოიხატება მისი ავტორიტეტით.

— არანაკლები კრიტიკა ისმის იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც, რომლებიც ათეულობით მილიონით ფინანსდებიან ქვეყნის გარედან და დიდი გავლენით სარგებლობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცალმხრივად შეტევა ხომ არ გამოდის დასავლური სტრუქტურებიდან რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში საქართველოს ხელისუფლებაზე მათ მიერ დაფინანსებული გავლენის აგენტების მეშვეობით?

იხ. 6 გვ.

ძალიან მალე კვერცხიც გაძვირდება და ქათამიც?!..

ნოემბრის ბოლოდან შესაძლოა, ძათმის ხორცის ფასი დაახლოებით 10%-ით გაიზარდოს, კვერცხის ფასი კი შეიძლება სულაც 20%-ით გაიზარდოს. მიზეზი გაძვირებული საკვები, საწვავი, დენი და გაზია.

„ნოზაძის მეფრინველეობის“ თავკაცი მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ მიზეზი სატრანსპორტო გადაზიდვებზე გაზრდილი ტარიფი, გაძვირებული საწვავი და ენერგომატარებლებზე გაზრდილი ხარჯია.

„გაზი და დენის ტარიფი არარეალურ ნიშნულამდეა გაზრდილი, შესაბამისად, რაც უფრო აცივდება, მით მეტი ხარჯი გვექნება, ამიტომ, გაძვირება გარდაუვალია“, — განაცხადა ნოზაძემ.

პარალელურად მეფრინველეობის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები ქათმის იმპორტირებული საკვების გაძვირებაზე საუბრობენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფასმა 15-20%-ით მოიმატა. ეს კი როგორც ქათმის ხორცის, ასევე კვერცხის გაძვირებას გამოიწვევს.

მეფრინველეობის დარგი დიდწილად რუსეთზეა დამოკიდებული, რადგან წარმოებისთვის საჭირო საკვები, ხორბალი იქნება ეს თუ სიმინდი, სწორედ იქიდან შემოდის. რეგიონში არსებული კონფლიქტის გამო კი, ეს პროდუქტები მნიშვნელოვნად გაძვირებულია.

კომპანია „ჩირინას“ დამფუძნებლის პროგნოზით, ფასების მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი და ბაზარი „უნდა დაემშვიდობოს იაფ ქათმის ხორცს და კვერცხს“.

„დღეს საქართველოს ბაზარზე სიმინდის და ხორბლის დიდი რაოდენობით მიწოდება ხდება. მსოფლიო ტენდენციას თუ გადავხედავთ, ბოლო პერიოდში, სიმინდზე ფასი განსაკუთრებით იზრდება. ამას, რა თქმა უნდა, მიზეზიც აქვს. პირველ რიგში ის, რომ მკვეთრად მომატებულია სასუქების ღირებულება და მათი მიწოდება შეფერხებულია.

ასე რომ, ბაზარზე ფასების კუთხით 15%-20%-იანი კი არა, უფრო მეტად ფუნდამენტური ცვლილებები მოხდება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ უნდა დავემშვიდობოთ იაფ ქათამს და კვერცხს. ყველა ინგრედიენტის ფასი, რაც წარმოებას სჭირდება, იმპორტირებულია ის თუ ადგილობრივი, ზევით იწევს, ამიტომ ფასნამატი გარდაუვალია და იმაზე მეტად მოიმატებს, ვიდრე ახლაა — 20%.

მარტივი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, სასუქების ღირებულება თითქმის 100%-ით გაგვიძვირდა, ამას თუ ჩვენ ლოჯისტიკურ ხარჯებს დავამატებთ, ეს ფასში კიდევ აისახება. ჩვენი პროგნოზია, რომ უმნიშვნელო კი არა, საკმაოდ მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი“, — განაცხადა ვაშაკიძემ.

შეგახსენებთ, 2022 წლის 1 ივლისიდან დედაქალაქსა და რეგიონებში გაზის ტარიფი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის გაიზარდა. დედაქალაქში, ტარიფი ერთ კუბურ მეტრ გაზზე 1.10 ლარს შეადგენდა, რაც 1.35 ლარამდე იზრდება. ცვლილება 20 000 არასაყოფაცხოვრებო აბონენტს შეეხო. ამჟამად, 1 კილოგრამი ქათმის ხორცის ფასი საშუალოდ 10 ლარია. 2022 წლის იანვარ-აგვისტოში ქვეყნიდან 1.334 მლნ დოლარის ღირებულების კვერცხის ექსპორტი განხორციელდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 851.6 ათას დოლარს ოდნავ აჭარბებდა. რაც შეეხება იმპორტს, წელს იანვარ-აგვისტოში საქართველოში 3.1 მლნ დოლარის კვერცხი შემოვიდა, ხოლო შარშან 8 თვეში, საქართველომ 207.4 ათასი დოლარის პროდუქტი შეიძინა.

ბექა დანელია

ამიტომ გაეროს გენერალური მდივანი **ანტონიო გუტიერესი** და მისი გუნდი მუშაობენ „მარცვლეულის ინიციატივის“ ერთი წლით გახანგრძლივებაზე, რომელსაც ვადა ნოემბრის ბოლოს ეწურება. გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ, ჩაბა კვერეშმა 10 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე მაღალი შეფასება მისცა „მარცვლეულის შეთანხმების“ მუშაობას.

„ჩვენ ვიმუშავებთ ერთად, რათა სრულად განვახორციელოთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკვები პროდუქტების მიწოდება უკრაინის ნავსადგურებიდან“, — ციტირებს პრესსამსახური კვერეშის სიტყვებს.

ევროპის ბიზნეს-ასოციაციამ უკვე მიმართა გაეროს და თურქეთს, გააგრძელონ „მარცვლეულის შეთანხმების“ ვადა და ნიკოლაევის პორტის ჰაბი პორტების სიაში შეიტანონ.

„მარცვლეულის დერეფანი“, რომელზედაც მხარეები: უკრაინა, რუსეთი, თურქეთი და გაერო შეთანხმდნენ, აგვისტოდან ამუშავდა. სწორედ ამ დერეფნის წყალობით დატოვეს გემებმა უკრაინის საზღვაო აკვატორია. უკრაინამ და რუსეთმა თურქეთის და გაეროს შუამავლობით, 22 ივლისს, სტამბოლში მიაღწიეს შეთანხმებას შავი ზღვით, უკრაინიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის განახლების შესახებ.

გემებს და მათ უსაფრთხო ნაოსნობას სტამბოლიდან აკონტროლებს საგანგებოდ შექმნილი საკოორდინაციო ცენტრი.

ბექა დანელია

„უბად ასაღებნი და წყალწასაღებნი“...

თეა წულუკიანი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ალარ არსებობს, „ნაცმო“ სულს ღაფავს და, ალბათ, საბოლოოდ გაძრება კიდეც პოლიტიკური სცენიდან. წულუკიანის აზრით, ჩამოშლის პროცესი „ნაცებში“ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, როცა პარტიამ არ ისურვა განახლება, „ნაცმოძრაობის“ შიგნით ვერ ჩამოყალიბდა ვერც ერთი მათი წარმომადგენელი ლიდერად, ვინც ჩაანაცვლებდა სააკაშვილს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძეც** ადასტურებს, რომ „ნაცმოძრაობა“ განეიტრალებულია, მმართველი გუნდი საზოგადოებას დაჰპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა „ნაცმოძრაობის“ საბოლოოდ გასანეიტრალებლად. ამ კუთხით ძალიან კარგი ტენდენციაა და მმართველმა გუნდმა ამას თავად შეუწყო ხელი თავისი პოლიტიკით.

მართლაც „ძართულმა ოცნებამ“ გაანეიტრალა თუ არა „ნაცმოძრაობა“? თუ თავისით დინამიურად განვითარდა პროცესები და „ნაცმოძრაობა“ თვითონვე წავიდა თვითლიკვიდაციისკენ?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ განეიტრალებას იმით შეუწყო ხელი, რომ უზრუნველყო ისეთი სამართლებრივი პოლიტიკური სივრცე, სადაც ასეთი ტიპის ე.წ. პარტიის საქმიანობას დიდი გასაქანი ვერ ექნებოდა და წარმატებას ვერ მიაღწევდა. „ნაცმოძრაობა“ ყველანაირ არჩევნებში მარცხდება, რადგან არაფერი აქვს შესათავაზებელი, საზოგადოებრივ სიკეთეზე, საჯარო სარგებელზე ეს გაერთიანება არ მუშაობს, ამას ხალხი ხედავს და ამიტომ ამ პარტიას წარმატება არ ექნება.

„ამგვარად, მოხდა „ნაცების“ განეიტრალება, ეს პარტია ნელ- ნელა კარგავს გავლენას, საკუთარ ამომრჩეველს, ელექტორალურ ძალას. საბოლოო ჯამში, იქცევა ადამიანთა ჯგუფად, რომელიც ერთმანეთთან ანგარიშსწორებითაა დაკავებული. „ქართულმა ოცნებამ“ ამაზე იმუშავა, პირდაპირ ის კი არ გააკეთა, რომ შეუდგა „ნაცმოძრაობის“ ნგრევას, აგენტურა კი არ შეაგზავნა, ან რამით კი არ შეზღუდა, არამედ თავისი დღის წესრიგით, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი სიკეთისთვის, შეძლო ელექტორატის დაინტერესება. მეტი უსაფრთხოება, მეტი კეთილდღეობა, უკეთესი ცხოვრება, ხალხმა დაიჯერა ამ დაპირების და ხმებს თუ მიიღებს „ქართული ოცნება“, ეს ხმები აკლდება „ნაცმოძრაობას“. „ოცნებამ“ იმუშავა იმ გაგებით, რომ დაანახა ხალხს, „ნაცების“ მიერ შემოთავაზებული გზა არსად მიდის, ჩიხია. სააკაშვილის პერიოდში დაბრუნება არავის უნდა. 2003 წლის საქართველოში დაბრუნება გიჟის მეტს არავის უნდა და შეუძლებელიცაა“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

„სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი რიტორიკის მიუხედავად, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ათი წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობა“ ყოფილიყო პოლიტიკურ მოედანზე და არათუ მხოლოდ ყოფილიყო, არამედ ნომინალურად მეორე პოლიტიკური ძალა გამხდარიყო. „ოცნება“ რომ არა, „ნაცმოძრაობა“ აქამდე ვერ გაქაჩავდა. „ოცნების“ მხრიდან ილუზორული ბრძოლა, თამაში და ქართველი ხალხის გაბითურება რომ არა, თითქოს „ნაცმოძრაობას“ ებრძოდნენ, „ნაცმოძრაობა“ ამდენს ვერ გაბედავდა და თავისი დანაშაულებრივი ქმედებების გაპრავებას ვერ შეძლებდა.

„ქართული ოცნებისთვის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია „ნაცმოძრაობის“ შენარჩუნება. არ ვთვლი, რომ „ნაცმოძრაობა“ განეიტრალდა, ეს ჩვეულებრივი სკანდალებია, ჩვეულებრივი სალაპარაკო თემებია, ილია ჭავჭავაძემ იცოდა ხოლმე ფრაზა „ყბად ასაღები და წყალწასაღები“. ვინ არის დღეს პარლამენტში მეორე პარტია? – „ნაცმოძრაობა“. ამით დამთავრდა ყველაფერი. ვინ არის დღეს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მთავარი „მებრძოლი“? – ისევ „ნაცმოძრაობა“. მოკრივეების ენით რომ ვილაპარაკოთ, „ნაცმოძრაობის“ სახით სავარჯიშო „გრუშას“ ვითომ ურტყამენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, სინამდვილეში, ეს დარტყმის იმიტაციაა და „ნაცმოძრაობას“ აცოცხლებენ. როგორც „ოცნება“ ამბობს, მათ ცხრაჯერ გადატეხეს „ნაცმოძრაობა“ ხერხემალში, 15- ჯერ დაამარცხეს არჩევნებში და ამის მიუხედავად, „ნაცმოძრაობა“ „ბესმერტნი კაშეია“. იმ დროს, როცა საქართველოს გარშემო მნიშვნელოვანი მოვლენებია, საქართველო ჩაძირულია ისეთ თემებში, როგორიცაა სააკაშვილის შარდის ანალიზი, რას იტყვის თოფურიძე მელიაზე, 9 დეპუტატი დამოუკიდებელია, თუ ბიძინა ივანიშვილის მითითებებს ასრულებს. ამაზე დაცემული პოლიტიკური კლასი მე არ მახსოვს. ჩხუბიც ყოფილა, ტყვიაც გავარდნილა პოლიტიკური ურთიერთობის დროს, მაგრამ ამაზე კარიკატურული პოლიტიკური კლასი საქართველოში არ ყოფილა. ჩვენ ისევ დეპოში ვართ“, – დასძინა მამუკა გიორგაძემ...

მანანა ნოზაძე

„რას ნიშნავს დებიძინიზაცია – ბიძინა რატომ არის საქართველოში, საფრანგეთში, უდაბნოში, ალიასკაზე?..ნუთუ ეს არის დასავლეთის მოთხოვნა?“

(მესუთე გვერდიდან)

– რა თქმა უნდა, გამოდის. არც მალავენ, რომ საქართველო უკრაინას არასაკმარისად ეხმარება. ამას ამბობენ არასამთავრობოებიც, მათ უკან მდგარი ადამიანებიც. საკმარისად დახმარება რა არის, ეს უნდა გვითხრან. რაღაც ძირითად სანქციებს შეუერთდნენ. საქართველო ყველა სანქციას არ შეერთებია, ისევე როგორც თურქეთიდან დაწყებული ძალიან ბევრი ევროპული ქვეყანა. გერმანია და საფრანგეთი, ბევრს რომ ლაპარაკობენ, რუსეთიდან შემოვლითი გზით ყიდულობენ გაზს და რუსულ ნავთობს და უკრაინა, როგორც ტრანზიტული ქვეყანა, ატარებს. რაც შეეხება გავლენებს, რა თქმა უნდა, წარმოიდგინეთ, ვის აქვს გავლენები საქართველოს პრეზიდენტზე – ქალი იძახდა, უგულავა და რურუა პოლიტპატიმრებად არ მიმაჩნია, რომ გავათავისუფლოო და ხელი მაინც მოაწერინეს მათ გათავისუფლებაზე. რა, ივანიშვილმა უთხრა ხელი მოაწერეო? ვის უფრო მეტი გავლენა აქვს... გავლენებზე როდესაც არის ლაპარაკი, ზვიად გამსახურდია ცოცხალი აღარ არის, მაგრამ იმ ქვეყნიდან აქვს გავლენა ბევრ ე.წ. ზვიადისტზე. თუ გავლენა აქვს და ავტორიტეტი, მაინცდამაინც ოლიგარქია?! სოროსი არ არის ოლიგარქი?! მას რომ გავლენები აქვს, ამდენი ვის აქვს და თან იმდენ ქვეყანაზე აქვს. ივანიშვილი გავლენიანი პიროვნებაა და ვინც ხმას „ქართულ ოცნებას“ აძლევს, რა თქმა უნდა, ივანიშვილის როლი აქ ძალიან დიდია. რა უნდა ქნას ამ ადამიანმა – „ქართული ოცნება“ უნდა ლანძღოს და აგინოს, თუ იყვიროს, ხმა აღარ მისცეთო.

– სახალხო დამცველის ანგარიშის წარდგენისას ნინო ლომჯარიამ ხელისუფლებას უსურვა მასზე უფრო მეტად კრიტიკული ომბუდსმენი. დასავლეთისთვის მისაღები ომბუდსმენი უნდა აირჩიოს საქართველომ? წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, პოლარიზაცია ვერ დასრულდება.

– რაც შეეხება სახალხო დამცველს, დავით სალარიძით დაწყებული ლომჯარიათი დამთავრებული, ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი გულზე არ ეხატებოდა. შეიძლება სალარიძე გამონაკლისი იყო, რადგან ჯერ ახალი იყო ეს ინსტიტუტი, თუმცა შიგადაშიგ ისიც შევარდნაძეს ნერვებს უშლიდა. თვითონ ეს ინსტიტუტია ისეთი, რომ ოპოზიციური და კრიტიკული უნდა იყოს. ლომჯარიას ბევრი პლუსებიც ჰქონდა თავისი აქტიურობით და მისი აპარატიც მუშაობდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის დაუშავა ომბუდსმენის ინსტიტუტს, რომ მისი პოლიტიზირება მოახდინა. ყველა მეტნაკლებად ერეოდა პოლიტიკაში, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობდა, პოლიტიკაში არ გადავარდნილიყო. ტულუშიც კი, ხშირად საკმაოდ კრიტიკული იყო ციხეებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი იყო, მაგრამ მხოლოდ ადამიანის უფლებების კუთხით. პოლიტიკაში გადავარდნა და ასე, თავით გადაშვება ყველაზე მეტად ნინო ლომჯარიამ შეძლო, ამით დააზიანა ეს ინსტიტუტი და სახიფათოა, ასევე არ გააგრძელოს მომავალმა ომბუდსმენმა.

– ამ გზით ლომჯარიამ, ასე ვთქვათ, სამომავლოდ პოლიტიკაში ადგილი დაიბევა.

– ჰო, მაგრამ იყო პირველი პოლონელი ომბუდსმენი, ფაქტობრივად, დღესაც ძალიან შთამბეჭდავი ფიგურაა, ქალბატონი ევა ლეტოვსკა, პროფესორი, რომელიც 90–იან წლებში მუშაობდა და ხუთი წლის მანძილზე პოლონეთის ხელისუფლებას სისხლი გაუშრო. ძალიან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და ყველა პარტია ეხვეწებოდა პარლამენტში შესულიყო, პოლიტიკაში წასულიყო, მაგრამ ის დარჩა ფიგურად, რომელიც არსად წავიდა, თავის ძველ საქმიანობას დაუბრუნდა და დღესაც სამაგალითო პიროვნებაა. როდესაც ომბუდსმენები მერე პოლიტიკაში მიდიან, ეს უკვე ამ ინსტიტუტის დისკრედიტაციაა. მე ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, თქვენი თქმის არ იყოს, რომ ლომჯარიამ ადგილი დაიბევა და მას პოლიტიკაში ვიხილავთ.

– უკრაინული მხარე სააკაშვილის უკრაინაში დასაკითხად გადაყვანას ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სააკაშვილის ოჯახი ნობელიანტი ექიმის დახმარების იმედად არის. მართებულია უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის პირობებში პატიმრის დასაკითხად უცხოეთში გადაყვანა?

– ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, თვითონაც ხვდება, რომ ეს სისულელეა ან კიდევ ვერ ხვდება, რამხელა სისულელეა სამართლებრივი თვალსაზრისით. თორემ პოლიტიკური ინტერესები გასაგებია – მის მომხრეებს ექსპრეზიდენტის გათავისუფლება უნდათ. მეორე წელი დაიწყო, რაც სააკაშვილი პატიმრობაშია და მისი მომხრეები იძახიან, რომ სააკაშვილი სიკვდილის პირასაა, მაგრამ ერთი ექსპერტიზის დასკვნაც კი ვერ დადეს. ჩვენი კანონმდებლობით, სასჯელის გადავადება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტი წერს მძიმე დაავადებას და როდესაც სასამართლოზე გასვლისას მოსამართლე რწმუნდება, რომ ამ მძიმე დაავადების მკურნალობა, მართვა შეუძლებელია პენიტენციურ დაწესებულებაში. აი, ეს ორი პირობა უნდა იყოს. მეც მქონია ათამდე საქმე სასჯელის გადავადების ნაწილში. ექსპერტი ამბობს, კი ეს არის მძიმე დაავადება, მაგრამ ჩვენთან არის ყველა პირობა, რომ ვმართოთ ეს დაავადება, ვუმკურნალოთ. ჩვენ იმას კი არ მოვითხოვთ ხოლმე, რომ აი, უცხოეთში უნდა წავიდეს. ჩვენ ვამბობთ, რომ პატიმარმა გარეთ იმკურნალოს. სააკაშვილი გარეთ არის, სამოქალაქო კლინიკაში. ისიც კი ვერ დადეს თვითონ მისმა გარემოცვამ „ემპათიის“ და არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებმა, რომ არის მძიმე დაავადება, რადგან არ არის ეს ადამიანი ასე მძიმედ ავად. ნობელიანტი ექიმი იმიტომ ჩამოიყვანეს, იქნებ მისმა ავტორიტეტმა გაჭრასო. ქართველი რომ ხარ და ყოველდღე ტელევიზიით ამბობ, ვაიმე, რა მძიმედ არის, დადე სამედიცინო-საექსპერტო დასკვნა, რომ არის მძიმედ ავად, მაგრამ ასე არ არის და თეთრზე შავს ვერ იტყვიან – სხვა ექიმი გამოვა და იტყვის – ან უვიცი ხარ, ან თაღლითიო. იმ უცხოელმა ექსპერტმაც თქვა, ეს კაცი ასე ცუდად არ უნდა იყოსო. უნდა გამოვიკვლიოთო. სააკაშვილს პატიმრობის მიუღებლობა აქვს. ნებისმიერ პატიმარს კითხეთ, როგორ იღებს თავის მდგომარეობას.

შორენა კოწოწაშვილი

◎ გმადლობთ, დაუშვილო!

აუცილებლად ალაპარაკდება...

აკაკი დაუშვილის საყმაწვილო წიგნმა „გულთან სატარეგელი მიწის ამბავი“ გაიმარჯვა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ახალგაზრდობის სამინისტროს „შემოქმედებითი საქართველოს“ კონკურსში „საბავშვო ლიტერატურის მხარდაჭერა“. გამომცემლობა „მერიდიანმა“ წიგნი გამოსცა კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. გთავაზობთ ზაალ ბოტკოველის წერილს.

„ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ დედამიწის ზურგზე აღარავის ახსოვს. იკითხავთ, შენ როგორღა გაიგეო? ეს ყველაფერი ერთმა მუჭა მიწამ მიამბო. მიწას თუ გულისყურით მოუსმენ, უამრავ რამეს შეიტყობ. მე კი, რაც ჩემმა მშობლიურმა მიწამ მიამბო, იმას მოგიყვებით“.

და ყვება ამ სტრიქონების ავტორი ამ მთისა და ბარის ამბებს, ყვება სიყვარულითა და სასოებით სავსე, სევდითა და სინანულით სავსე და დაკვირვებული მკითხველი ზედმიწევნით ზუსტად ამჩნევს, რომ მთხრობელი მშობელ მიწას მართლაც რომ გულისყურით უსმენს და ცდილობს არ გამორჩეს მისი თითოეული ამოსუნთქვა და ამონაკვნესი...

მთხრობელი კი აკაკი დაუშვილი გახლავთ, ჩინებული მწერალი და მესაიდუმლე დედაენისა, თქვენი და ჩემი საესავი დედაენისა, ლაზარედ ქცეული რომ ინახავს მირიად საიდუმლოს ქრისტესავით ჯვარცმული ქვეყნისა...

აკაკი დაუშვილი არაერთი პროზაული კრებულის ავტორია, რომლებშიც სრულად გაცხადდა მისი მწერლური ნიჭიერება, საგნებისა და მოვლენების აღქმის მისეული მანერა, მოყვასის თანადგომისა თუ თანალმობის ძალუმი მზაობა, დამოკიდებულება ქვეყნის დღევანდელობისადმი, იმ პრობლემებისადმი, დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია ჩვენი მამულის თავზე...

ამ წიგნის წაკითხვისას არაერთხელ მოგადგებათ თვალზე ცრემლი თუნდაც იმიტომ, რომ აკაკი დაუშვილი ამჩნევს და წერს იმაზე, რაც ჩვენს მეტისმეტად გაუხეშებულ და გათითოკაცებულ სამყაროში ლამის დაცინვის საგნად ქცეულა...

მწერალი წერს სიყვარულზე, სიკეთეზე, კეთილშობილებაზე, ვაჟკაცობასა და სათნოებაზე, წერს დედაშვილობის მადლსა და ანდამატზე. ასე მაგალითად, მკითხველს თავდაპირველად ახირებადაც კი შეიძლება მოეჩვენოს მოთხრობა „ნიკას მზის“ მთავარი პერსონაჟის სურვილი, რომ არასოდეს ჩადიოდეს მზე და მუდმივად ანათებდეს და ათბობდეს დედამიწას, მაგრამ როცა ნიკა – ეს ცეროდენა ბიჭი ამ სურვილის მიზეზს გაგვიმხელს (მამამ მითხრა, დედა მზესთან გაფრინდა და იმიტომ არის მზე ასე თბილიო. როცა მზე თვალებში გიჭყიტინებს დედა გიცინის, როცა დაგცხება, დედა გეფერება და გულში გიკრავსო...), არ შეიძლება ვეება გორგალი არ მოგაწვეს ყელში და ცრემლი არ გაყლაპინოს.

აკაკი დაუშვილი გატაცებით წერს 70-იანი წლების თბილისზე, იმ საოცარ სითბოსა და თანადგომაზე, რომლითაც გამოირჩეოდა ჩვენი სათაყვანებელი დედაქალაქი. რა დამაჯერებლად მოგვითხრობს იმ სულიერ კათარზისზე, როდესაც დილემის წინაშე მდგარი ახალგაზრდა უარს ამბობს ეშმასა და სატანის მსახურებაზე. რა საინტერესოდ ხატავს ავტორი გეგას, მოთხრობა „ტყავის ქურთუკის“ პერსონაჟს, რომელიც წამიერად გაიელვებს ჩვენს თვალწინ და განუკითხაობისა და გულცივობის მსხვერპლად იქცევა, მსხვერპლად და... ზნეობრივ ორიენტირად მათთვის, ვის სულშიც ჯერ კიდევ არ დამჭკნარა სიკეთისა და სათნოების უმშვენიერესი ყვავილი.

ამ კრებულის ერთ-ერთ მშვენიერ ნოველას წარმოადგენს „უცნაური ბიჭი“, რომლის მთავარ პერსონაჟს, მეექვსეკლასელ გელას სულ რაღაც ერთი წლის წინ უფროსი ძმა გარდაცვლია და ახლა დარდად და სევდად ქცეული იმასღა ცდილობს ძმის მსგავსება აღმოაჩინოს სხვებში. სხვათა შორის, ამ მოთხრობის მიხედვით, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

აკაკი დაუშვილის პიროვნებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმიან მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მას ხომ ნებისმიერი სახლის უფანჯრებო კედელი ზურგშექცეულ ადამიანს აგონებს, გულქვა და ბოროტ, ავისმზრახველ ადამიანს. ამიტომაცაა, რომ იგი ათწლეულების განმავლობაში გვაძლევს მშობელი ერის უებრო მსახურების ჩინებულ მაგალითს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება არ ვთქვათ იმაზე, რომ იგი სულისჩამდგმელია ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა „წმინდა ნინოს ჯვარი“ რომ ჰქვია სახელად. ლამის საყოველთაო უღმერთობის ჟამს ეს ფესტივალი ოაზისად მოჩანს დღევანდელ საქართველოში, როგორც ქართველთა რწმენის ურყევობისა და სიმტკიცის ბალავარი... ამავე დროს, აკაკი დაუშვილის თავდადებას და ერთგულებას საერო საქმეებისადმი საოცრად ესადაგება მისი თავმდაბლობა და მორიდებულობა, მწიფე თავთავის ალეგორიას რომ ახსენებს თანამოკალმეებს.

ისევ იმ სათქმელს მივუბრუნდეთ, რითაც დავიწყეთ ეს წერილი. „გულთან სატარებელი მიწის ამბავი“ ჰქვია იმ ზღაპარს, რომელიც მშობელი მიწის საგალობელს წააგავს და კიდევ კატეგორიულ გაფრთხილებას იმისა, თუ როგორ უნდა ვუვლიდეთ ჩვენს მთებსა და ველებს, ჩვენს წყალ-ჭალებს, თითოეულ გოჯს იმისა, სამშობლოდ რომ აღვიქვამთ ამქვეყნად მოვლინებისთანავე.

„თუ არ დაიზარებთ, მიწას ხელისგულში სიყვარულით მოიქცევთ, სათქმელს მშობლიურ ენაზე ეტყვით და გულისყურით მოუსმენთ, აუცილებლად ალაპარაკდება, ოდნავ გასაგონად, სევდიანად და იმედიანად ალაპარაკდება“.

გვაიმედებს ავტორი და ჩვენც მტკიცედ გვინდა ვიწამოთ, რომ დიახაც ალაპარაკდება მიწა, ოღონდ ამ ნალაპარაკევს მხოლოდ ისინი გაიგონებენ, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს მშობელი ქვეყანა, მშობელი ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მიწის თითოეული გორობი, ვისაც გულწრფელად სწამს, რომ მიწას საკუთარი სული გააჩნია, სული, რომელსაც საგანგებო მოფრთხილება, საგანგებო მოვლა-პატრონობა სჭირდება, რათა არ მიილიოს და არ განქარდეს. მიწამ თავად უნდა იგრძნოს, რომ მისი უპირობო ჭირისუფალი და მეციხოვნე ხარ. და როცა ამას იგრძნობს, მაშინ შენც იგრძნობ მის თანადგომასა და გამხნევებას, მხოლოდ მაშინ დაგეხმარება, რომ ორივე ფეხით მყარად იდგე მის სისხლით გაპობილ ბელტებზე და ნებისმიერი, თუნდაც უთვალავი მტრის შემხედვარემ არ დაჰკარგო მხნეობა და შემართება...

ყმაწვილებო!

ეს წიგნი თქვენთვისაა განკუთვნილი და მისი გაცნობაც დაგარწმუნებთ, თუ რა დიდი გედნიერებაა, დაიბადო ქართველად და თანაც საქართველოში, დაიბადო და მკერდით იცავდე, იმ სიწმინდეებს, იმ სილამაზეებს, იმ ლაჟვარდებს, რითაც თითქმის უხილავი ძაფებით არსთაგამრიგესთან ვართ წილნაყარი.

ზაალ ბოტკოველი

გალაკტიონი – დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის ინიციატივით და ორგანიზებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა გალაკტიონისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უძღვებოდა მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე.

სპეციალურად მოწვეულმა სტუმარმა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის აკადემისომა, 17 წიგნის ავტორმა, რედაქტორმა და თანაავტორმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **ნინო რეხვიაშვილმა** დამსწრე ინტელექტუალურ საზოგადოებას (თავისი ავტორობით გამოცემული წიგნიდან „ჩემი გალაკტიონი“) წარუდგინა გალაკტიონის ცხოვრების ამსახველი უცნობი ეპიზოდები. ნინოს ხავერდოვანი და არაჩვეულებრივი ხმის ტემბრს ფონად გასდევდა ქართველი კომპოზიტორების ზაქარია ფალიაშვილის, გია ყანჩელის და ვაჟა აზარაშვილის მუსიკალური კომპოზიციები.

ნინო რეხვიაშვილს მადლიერების გრძნობით, თბილი სიტყვებით მიმართეს სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დირექტორმა ნუნუ ცაკაშვილმა, შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა ხათუნა აგლაძემ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლალი გურასპაულმა, ღონისძიების ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ, რომელმაც ქალბატონს საჩუქრად გადასცა ცნობილი პოეტის ლეილა ბაგრატიონის (ბაბადიში) პოეზიის კრებული „მიმოხვეულში“ და ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ ახალი 2022 წლის მე-2 ნომერი. ნინო რეხვიაშვილმა უღრმესი მადლობა გადაუხადა მწიგნობართა ასოციაციის წევრებს მოწვევისთვის და თბილი საღამოს გამართვისთვის.

დასასრულ ნინო რეხვიაშვილმა თავისი ავტოგრაფით გამოცემული წიგნები: **„ჩემი გალაკტიონი“, „საქართველოს მარგალიტები“ და „სამყაროს სამკაული“** უსახსოვრა მწიგნობართა ასოციაციის წევრებს.

მარიამ პოპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე

ქიზიყური ალმანახი მთელ საქართველოს

გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მე-2(13) ნომერი!

ალმანახის რედაქტორია გიორგი ნატროშვილი.

ალმანახის გარეკანი გაფორმებულია **მაკა სულაშვილის** ფოტოთი და **ლია მაისურაძის** ნამუშევრებით. ყდის მე-2 გვერდი ილია ჭავჭავაძის 185-ე წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის უკვდავ ლექსებს – **„პოეტი“** და **„ლოცვა“**. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ ინფორმაციას ლია მაისურაძის შემოქმედების შესახებ.



რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **ია ხასაის, თამაზ წიკლაურის, ბელა ალანიას, თამარ ნასრაშვილის, პაატა აბაშიძის, ანდრო ჩაჩანიძის, ლეილა ბაგრატიონ-ბაბადიშის, სოფია ქურასბედიანის, ნანა საბანაძის** და **გიორგი ტარყაშვილის** ლექსებს.

რუბრიკა „პროზა“ წარმოგვიდგენს **ეკატერინე ფავლენიშვილის, მარი თაბაგარის, ქეთი იმერლიშვილის, ნინო სადღობელაშვილის, ჯემალ მეხრიშვილის** და **გიორგი პაპუაშვილის** მოთხრობებს.

რუბრიკა დრამატურგია გვთავაზობს **ზურაბ პაპიაშვილის** პიესას „სადღეგრძელო“.

რუბრიკაში „თარგმანი“ გაეცნობით **ფრანჩესკო პეტრარკას, ბელა ახმადულინას, ანა ახმატოვას, გალინა ვოლენბერგის (რუდაკოვა), ბულატ ოკუჯავას, სერგეი ესენინის** და **ომარ ხაიამის** ლექსების მარი თაბაგარისეულ თარგმანს.

რუბრიკაში „იუბილე“ სახელოვან ქართველ რეჟისორთან **მედეა კუჭუხიძესთან** ინტერვიუს გთავაზობთ ჟურნალისტ ნანა ჭიჭინაძის წერილში „მედეა კუჭუხიძე – 85“.

რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ გაეცნობით **ნინო ტარყაშვილის** წერილს „ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი“.

ალმანახის ტრადიციული რუბრიკა „დედოფლისწყაროს ისტორიიდან“ წარმოგიდგენთ **ლალი ბასილაშვილის** წერილს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი გამარჯვება (ყოფილი უზუნდარა)“.

რუბრიკა „გახსენება“ გთავაზობთ **მარიკა პოპიაშვილის** ინტერვიუს აწ განსვენებული სახელოვანი პოეტის რეზო ამაშუკელის მეუღლესთან **გულიკო ბეროძესთან.**

რუბრიკაში „ხსოვნა“ გაეცნობით **ნანა ჭიჭინაძის** წერილს **„თემურ ჩხეიძე – კაცი, რომელიც ყველას უყვარდა“.**

„წმიდა“

გამოვიდა XX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, რუდოლფ ოტოს მთავარი ფილოსოფიური ნაშრომი – „წმიდა“ (ირაციონალურის შესახებ ღვთაებრივის იდეაში და მისი დამოკიდებულება რაციონალურთან).

ნაშრომი თარგმნა ცნობილმა ფილოსოფოსმა მთარგმნელმა და პუბლიცისტმა, ვიქტორ რცხილაძემ. ნაშრომს თან ერთვის მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობა.

წიგნი იყიდება თბილისის მაღაზიებში: „ლატერნა“ (ცოტნე დადიანის 7 – სავაჭრო სახლი „ქარვასლა“), „სანტა ესპერანსა“ (სანკტ-პეტერბურგის ქ. 12), „ლიგამუსი“ (ჭავჭავაძის 32), „პარნასი“ (ჭავჭავაძის 12), „სამშობლო“ (ყაზბეგის 4), ასევე „ბიბლუსის“ ქსელში.

იბრძოლებენ თუ არა პუტინის „РУZСКИЙ МИР“-ისთვის სამხრეთკავკასიელები?!

„ჩვენთვის აუცილებელია მტრის ხატის შეძმნა. ჩვენ ხალხს ვეუბნებით, რომ მტერი უკრაინელებია – ანუ იგივე რუსები, რომლებშიც ეშმაკი ჩასახლდა. ვეუბნებით, რომ მივდივართ არა მათ მოსაკლავად, არამედ მათ გადასარწმუნებლად, მაგრამ თუ არ უნდათ, გადავარწმუნოთ, მაშინ დავხოცავთ. დავხოცავთ იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება – მილიონს, ხუთ მილიონს, სულაც მთლიანად ამოვწყვეტთ!“ – აცხადებს კამერაზე გადაღებულ პირად საუბარში კრემლის „რუსული სამყაროს“ ერთ-ერთი რუპორი, ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელი პაველ გუბარევი“.

„პუტინმა რაღაცები მოჩმახა... ბოლო დროს მაგრად ურევს... ახლა იძულებულები ვართ, თავად ვიყიდოთ საკვებიც, ამუნიციაც და საკუთარი ხარჯით ჩავძაღლდეთ ვითომ „სამშობლოს დასაცავად“ – ჩივის დედასთან სატელეფონო საუბარში უკრაინაში გადასროლილი ერთ-ერთი რუსი მობილიზებული.

„ახლა უკვე ისინიც კი, ვინც გულზე Z-ს იტვიფრავდა, ხვდებიან, რომ ისინი უბრალოდ გააცურეს: დაპირდნენ სამხედრო გამარჯვებებისთვის თვალის დევნებას ტელევიზორით, მაგრამ აიძულებენ, სამხედრო მარცხს სანგრებიდან ადევნონ თვალი, ტელევიზორის წინ ჯდომა ერთია, სანგარში ყოფნა – სულ სხვა. რაც მთავარია, რის გამო?! – თუ რუსეთს მართლაც ემუქრება ვინმე ან რამე, ეს ავადმყოფური იმპერიალიზმია და მეტი არაფერი!“ – ამბობს რუსეთის რიგითი მოქალაქე, რომელსაც ომი არ სურს.

პუტინის არმია უკრაინიდან გარბის, ხოლო რუსეთის მოქალაქეები – რუსეთიდან, სადაც სადღეისოდ დაკავებულები არიან მხოლოდ ერთით – მარცხში დამნაშავეთა ძებნით: ეს ხან „მსოფლიოს მეორე არმიაა“, რომელიც უმაქნისი გამოდგა, ხან მისი კორუმპირებული სარდლობა, ხან „ტიკ-ტოკერი“ კადიროვის მსგავსი „მაღალპროფესიონალური“ გენერლები, ხან სპეცსამსახურები, რომლებმაც 8 წლის განმავლობაში ვერ მიიყვანეს უკრაინის მოსახლეობა იმ კონდიციამდე, რომ რუსის ჯარს თაიგულებით დახვედროდა, ხანაც, როგორც უკვე კრემლის პროპაგანდისტი სკაბეევაც კი აღიარებს, „ქვეყანაა იდიოტური“.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ეძებონ დამნაშავე, საბოლოოდ მაინც პუტინზე გავლენ – პრეზიდენტზე, რომელმაც იმპერატორობა მოისურვა და ახლა არა მარტო საერთაშორისო ტრიბუნალი ელის, არამედ, სრულიად შესაძლებელია, სახელმწიფო ღალატის მუხლით გასამართლებაც: სანამ უკრაინის შეიარაღებული ძალები პუტინის ჯარის ნარჩენებს საზღვრისკენ ერთდროულად სამი მიმართულებით მიერეკებიან და ბრძოლის ველზე ყოველდღიურად საშუალოდ რუსეთის 300-400 მოქალაქე იღუპება, კრემლი კვლავინდებურად ირწმუნება, რომ „სპეცოპერაცია გეგმის მიხედვით მიდის“, პუტინი კი ისტერიულად აწერს ხელს კანონებს რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის იმ ტერიტორიების „მიღების“ შესახებ, რომლებიც არა მარტო არ აქვს სრულად ოკუპირებული, არამედ უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ ყოველდღიურ რეჟიში თავისუფლდებიან კიდეც ოკუპაციისგან. გამოდის, კრემლის „გეგმა“ იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ათობით ათასი მოქალაქის სიცოცხლის ფასად ერთი-ორი თვით, ან სულ ორიოდ დღით (როგორც ლიმანის შემთხვევაში) მიეერთებინა უკრაინის რიგი ტერიტორიები?! არა მგონია, ეს პუტინის „РУZУЛИ სამყაროს“ ყველაზე თავგადაკლული მხარდამჭერებისთვისაც კი მისაღები იყოს. ახლა კრემლის მიმართ სულ უფრო მეტი კითხვა უჩნდებათ მათაც და პუტინს ეს კარგს არაფერს უქადის.

ამასობაში ჩრდილოეთ კავკასიაში – ჩეჩნეთშიც, ინგუშეთშიც, ყაბარდო-ბალყარეთშიც, დაღესტანშიც საპროტესტო აქციები გაიმართა: ადამიანებს არ სურთ, პუტინსა და მის **„РУZУЛИ სამყაროს“** შეეწირონ. ახლა კრემლი ცდილობს, მობილიზებულთა დანაკლისი ძალდატანებით შეივსოს ჩერქეზებით. და ადგილობრივთა **უკმაყოფილება,** ბუნებრივია, იზრდება.

უკმაყოფილონი არიან „მეგობრულ“ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც, რომელთა მოსახლეობას კრემლი რუსული მობილიზაციის ჩავარდნის პირობებში თავის სამხედრო ავანტიურაში ან მოტყუებით, ან, თუ არ გამოვა, ძალით უპირებს ჩათრევას.

აფხაზეთში ამ დრომდე არაა ერთიანი პოზიცია იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა მისი მოსახლეობა პუტინის Z-მობილიზაციას. მომხრეები, რომლებიც აშკარა უმცირესობაში არიან, ირწმუნებიან, რომ აფხაზეთის ეს ვალდებულება გამომდინარეობს 2014 წელს რუსეთთან გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულებიდან. ხოლო მოწინააღმდეგეები ამ აზრს არ იზიარებენ და აღნიშნავენ, რომ საფრთხეებზე ერთობლივი რეაგირების ვალდებულება იმ დოკუმენტით შეიარაღებული ძალების ერთობლივ რუსულ-აფხაზურ დაჯგუფებას ეკისრებოდა, რომელიც შეთანხმების გაფორმებიდან ერთი წლის მანძილზე უნდა ჩამოყალიბებულიყო, თუმცა დღემდე არ შექმნილა. თავად აფხაზურ კანონმდებლობაში კი არ მოიპოვება არავითარი ჩანაწერი ადგილობრივთა მობილიზაციის შესახებ რუსი მოკავშირის მიმართ აგრესიის შემთხვევაში. ან ვის „აგრესიაზეა“ საერთოდ ამ შემთხვევაში საუბარი?, – მოსახლეობისთვის ესეც გაუგებარია, კრემლის ყველა სადეზინფორმაციო პროპაგანდისტული ნარატივის მიუხედავად.

„პრეზიდენტმა“ ბჟანიამ გამოსცა ბრძანებულება სამხედრო გაწვევის შესახებ, რომელიც 1 ოქტომბრიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გასტანს და ამავდროულად შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც „სამობილიზაციო მზადების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციებს შეიმუშავებს“. რუსეთთან „საზღვარზე“ კი უკვე შეიქმნა პრობლემები: აფხაზ ახალგაზრდებს აკავებენ და უცხადებენ, რომ არ გაუშვებენ, სანამ სამობილიზაციო თანხმობას არ მოაწერენ ხელს.

„მობილიზაციას თავად რუსები გაურბიან და ჩვენ რა, მეორე ხარისხის ადამიანები ვართ?! ჩვენს „მეგობარ“ რუსეთს აფხაზი ახალგაზრდობის ამოწყვეტა სურს, იწვევს რა საომრად გაუგებარია, ვისთვის და რისთვის!“; „რუსეთში 150 მილიონამდე მცხოვრებია და ქვეყანას რამენაირად უჩვენოდაც დაიცავენ. თანაც ჩვენი მოხალისეები უკვე წლებია, იბრძვიან უკრაინაში, ასე, რომ იკმარონ! ყველა დანარჩენი აქ გვჭირდება – ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სამშობლოს დასაცავად!“, – წერენ აფხაზი ინტერნეტ-მომხმარებლები.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, თუ აქამდე რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც მობილიზაციისთვის თავის ასარიდებლად საქართველოში მორბოდნენ, „ზემო ლარსზე“ აკავებდნენ, ამიერიდან იგივე „ძველმო ზარამაგზეც“ იწყება: ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სერგეი მენიაილომ უკვე გასცა ბრძანება, დაკავებულებს სამობილიზაციო უწყისები ადგილზევე გადასცენ.

ადგილობრივი ანალიტიკოსები შეშფოთებას ვერ მალავენ, თვლიან რა, რომ ეს შეესაძლოა, ჩრდილოეთ ოსეთის კომისარიატების ნამდვილ ნადირობად იქცეს ცხინვალის რეგიონის გაწვევის ასაკის მცხოვებლებზე, რომელთა უმრავლესობას „ოსურთან“ ერთად რუსეთის მოქალაქეობაც გააჩნია და რუსეთში ჩაწერაც, მაშასადამე, იქაურ სამხედრო აღრიცხვაზე არიან და რუსეთის კანონმდებლობით, გაწვევას ექვემდებარებიან.

ერთადერთი საშუალება ამის თავიდან ასარიდებლად – ეს რუსეთთან „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“ გაფორმებული შეთანხმებაა, რომლის თანახმად, „ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები ჯარში არა ჩაწერის, არამედ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მსახურობენ“. მაგრამ გაურკვეველი მიზეზით დოკუმენტი ძალაში ამ დრომდე არ შესულა.

„ლარსზე რაც უნდათ, ის აკეთონ, მაგრამ სამხრეთ ოსეთს ნუ შეეხებიან. რუსეთის მოქალაქეები ჩვენ თავს არ გვაფარებენ: ჩვენი რესპუბლიკა ჩიხურია, აქედან გასასვლელი არსაითაა, ამდენად, მათთვის აქ შემოსვლას არავითარი აზრი არ აქვს. სერგეი მენიაილოს მიერ ინიცირებული ღონისძიებები პრობლემებს მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს შეუქმნით, რომლებიც ისედაც გადაჭარბებით ასრულებენ რუსეთის მიმართ ვალს: ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, ჩვენ უკრაინაში მოხალისე მეტი გვყავს, ვიდრე თავად რუსეთის ნებისმიერ რეგიონს“ – ამბობს ოსი საზოგადო მოღვაწე თემურ ცხურბატი.

„საკუთარი ჯარი ფაქტობრივად არ გვყავს, ამდენად, ჩვენი ერთადერთი აქტივი რეზერვისტებია და მათ გარეშე დღეს ვერ დავრჩებით. ვფიქრობ, თუ ამა თუ იმ სახით საკუთარი გაწვევა გვექნება, რუსეთს მოუწევს, ამას ანგარიში გაუწიოს და ჩვენმა ხელძღვანელობამ ეს რუს პარტნიორებს უნდა გააგებინოს“ – ამბობს ოსური „პარლამენტის“ IV მოწვევის „დეპუტატი“ როლანდ ქელეხსაევი.

„პრეზიდენტი“ გაგლოევი კი ლავირებას ცდილობს: ამ დღეებში მან უკრაინაში „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ უსწრაფესი დასრულების იმედი გამოთქვა და იქვე დასძინა, „ოს ახალგაზრდობას შორის არავინაა ისეთი, ვინც მობილიზაციას გაურბის, თითოეული ახალგაზრდა თავის ვალად თვლის, ამ მძიმე დროს დონბასელი ხალხი დაიცვასო“. 11 ოქტომბერს კი, აფხაზეთის კვალდაკვალ, სამხედრო გაწვევა ცხინვალის რეგიონშიც გამოცხადდა.

პუტინი, რომლისთვისაც ათობით ათასი დაღუპული რუსი ჯარისკაცი მხოლოდ სტატისტიკაა, კავკასიელ მეზობლებს შორის მსხვერპლის თვლას არც კი დაიწყებს, - მთავარია, საზარბაზნე ხორცი არ შემოელიოს. „რუსეთის დაცვის აუცილებლობის“ შესახებ კრემლის არგუმენტების სრული არალეგიტიმურობის, ასევე აფხაზებისა და ოსების მობილიზაციისთვის საკანონმდებლო საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

„მოძმე“ რუსეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მათ მიმართაც პუტინის იმ ცინიკური პრინციპით იმოქმედოს, რომელიც პუტინმა თავის დროზე უკრაინის მისამართით გააჟღერა: „Нравится – не нравится, терпи, моя красавица“ („მოგწონს თუ არა, მოითმენ, ჩემო ლამაზო“). უკრაინამ არ მოითმინა. მოითმენენ თუ არა კავკასიელი მეზობლები.

„აქცენტი“

თავდასხმები სამხედრო კომისარიატებზე

მოსკოვში და რუსეთის კიდევ რამდენიმე ქალაქში სამხედრო კომისარიატების შენობების დაცვა გააძლიერეს. ამის მიზეზი ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ გახშირებული თავდასხმები გახდა.

„რიგ ქალაქებში, მათ შორის მოსკოვში, სამხედრო კომისარიატების შენობებთან დისლოცირებულები არიან „როსგვარდიის“ დაკავების ჯგუფები. გარდა ამისა, მთელი ქვეყნის მასშტაბით სამხედრო კომისარიატების შენობები პატრულირების მარშრუტებშია ჩართული“, – აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ალექსანდრ ხინშტეინი.

რუსული მედიის ცნობით, ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ სამხედრო კომისარიატების და სხვა ადმინისტრაციული შენობებისთვის ცეცხლის წაკიდების 50-ზე მეტი მცდელობა დაფიქსირდა.

მარჯორი უორდროპს ღრმა ქართული სახარებიდან შეუსწავლია



ელისაბედ (ლიზა) ერისთავი

„მე დავიგადე შუაგულ ქართლში, ქალაქ გორში,რომელიც მაშინ წარმოადგენდა ლამაზ ქალაქს თავისი ლამაზი გაღეგით შემორტყმული ფეოდალური სასახლეებით... ჩვენ ვიდექით საკუთარ სახლში, მამიჩემის აშენებულში. მოწყობილნი ევროპიულად ჰქონდა... დიდი შუშაბანდი ვენეციანური შუშებით იატაკამდე, მშვენიერი ლიმონის ხეები, ალოე, აპელსინი... მეგაღე გვყავდა ფრანცუზი“, – ასე იწყება ელისაბედ (ლიზა) ერისთავის მემუარები, რომელიც ახლახან დასტამბა გამომცემლობა „არტანუჯმა“ და რომელსაც, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ შესავალ სიტყვაში უწოდა „ერთი საუკეთესო გზამკვლევი ეპოქის სულში ჩასახედად და შესაცნობად“.

ელისაბედი, ელიზბარ ქსნის ერისთავის უმცროსი ქალიშვილია – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, 1832 წელს, ქართველი თავადაზნაურობის მიერ მოწყობილი ცნობილი შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორის და ხელმძღვანელისა.

თავის მემუარებში ელისაბედ ერისთავი გვიყვება თავისი ეპოქის იმ ამბებს, რომლებსაც ისტორიულ ქრონიკებში ვერ ამოიკითხავთ. ეს მემუარები - ქსნის ერისთავთა ერთგვარი საგვარეულო მატიანეც არის და ძვირფასი მასალაც იმ სურათის აღსადგენად, რაც მაშინ, რუსეთისგან ოკუპირებულ საქართველოში ხდებოდა. და შესაძლებლობაც, უკეთ გავიცნოთ მაშინდელი ქართული არისტოკრატია, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი გახდა.

2022 წელს, 190 წელი შესრულდა 1832 წლის შეთქმულებიდან, რომლის მიზანიც, საქართველოდან რუსეთის იმპერიის განდევნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. წიგნის შემდგენელმა, ლიტერატურათმცოდნე მაია ცერცვაძემ, ამ მემუარების გამოცემა სიმბოლურად სწორედ ამ თარიღს დაამთხვია. თავად წიგნი კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში სამშობლოსათვის დაღუპული შინდისის გმირების, გიორგი ანწუხელიძის და სხვათა ხსოვნას მიუძღვნა.

ელისაბედ ერისთავის მოგონებების ნაწყვეტები სხვადასხვა დროს სამეცნიერო და ლიტერატურულ პერიოდიკაშიც იბეჭდებოდა. მემუარების ხელნაწერი ტექსტი ლიტერატურის მუზეუმში ინახება. სწორედ ეს, მკრთალი მელნით ნაწერი ტექსტები აქცია წიგნად მაია ცერცვაძემ და მას კომენტარებსა და შენიშვნებთან ერთად, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი და სპეციალურად მომზადებული გენეალოგიური ტაბულებიც დაურთო.

„ეს მოგონებები, ქართული არისტოკრატიის თავდაღმართზე და კომუნისტების მიერ მათ განადგურებაზე მოგვითხრობს. ცხადია, ამას ვერც ელისაბედის ოჯახი გადაურჩა. მათ მთლიანად ჩამოართვეს კუთვნილი ქონება. თავად ელისაბედი კი, ქსნის ერისთავების ქალიშვილი და მეფე ერეკლეს შთამომავალი თამარ და ანასტასია ბატონიშვილების მხრიდან, 1920-იან წლებში თბილისის საავადმყოფოებში მესასთუმლე ქალად მუშაობდა“, – გვიამბობს მაია ცერცვაძე.

მემუარებში რუსეთის მიმართ განწყობები შეფარულად, მაგრამ მაინც იკითხება. და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან რეპრესიულ რეჟიმს ყველა უფრთხოდა. თუმცა კი, ელისაბედ ერისთავი თავის მოგონებებში მაინც წერს, როგორ ყიდიან ყველაფერს თავის გასატანად, როგორ აფარებენ



ელისაბედ ერისთავის მამა, ელიზბარ ერისთავი

თავს ნათესავებს.

იმ დროის ცნობილი ქალი იყო ელისაბედის დედა, ქეთევან ერისთავიც. ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილის ადრესატის, კოზლოვის ცნობილი „შეშლილის“ ქართულად მთარგმნელის, რევაზ შალვას ძე ერისთავის და, და ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი. სწორედ მას უძღვნა ტატო ბარათაშვილმა ლექსი „ქეთევან“.

მემუარების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთიც, ქეთევან ერისთავის მონათხრობია ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

„სასადილო ოთახში გაჭიმულია სტოლი და მთელი აულის დარბაისელი ქალები სხედან და ლოტოობა გაჩაღებულია. ყმაწვილი ქალები დიდ გასტინაში ხალიჩამოფენილში თამაშობენ და მხიარულობენ. ფანჯარა ღია არის. მშვენიერი მთვარიანე ღამეა. ქალები ძირს ხალიჩაზე სხედან. უცფათ ვიღაცა გადმოაგდებს ჯერ ქუდს, მერე ფერჩატკებს და ცხვირისსახოცს და მერე, რაც მოხდება: ყველანი წამოცვივდებიან და მხიარულათ მიეგებებიან ფანჯრიდამ გადმამხტარს ყნაწვილს.

„ტატო მოვიდა, ტატო მოვიდა“: ეს არის

არისტოკრატი მესასთუმლე – რას გვიამბობს ელისაბედ ერისთავის მემუარები?

ჩვენი მშვენიერი უკვდავი ბარათაშვილი. მგოსანს შემოჰყვება ერთი ყმაწვილი აფიცარი ლამაზი სახისა, თეთრწითელი, ლურჯთვალებიანი. მაიკოს სევდიანი თვალები გაუბრწყინდება იმის დანახვაზე, მარამ მალე ისევ მოიწყენს.

ლევან ყველას რომ მიესალმება, ბოლოს მივა მაიკოსთანა და ეუბნება: გამხიარულდი, ჩემო მაიკო, რა გაქვს სამწუხარო? ლევან, გენაცვალე, როდის, როდის? ...მალე, მაიკო, აბა, თუ გზა არ გავიკვლიეთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ? აი,

ელისაბედის დედა, ქეთევან ერისთავი

ეხლაც მგზავნიან დაღისტანში და რო დავბრუნდები, მაშინ. ეს მალე იქნება. მაიკო მწუხარეთ ამოისუნთქამს და არარას ეტყვის... ქალები დაირას უკრამენ და ლეკურს თამაშობენ.

ქეთევანს ჩააცივდებიან და ძალათ გამოათრევენ სათამაშოთ. ლეკურის შემდეგ ტატო მიუახლოვდება ქეთევანს და ეუბნება: ქეთევან, სწორეთ რომ ჰაეროვანი ხარ, რა მშვენივრათ თამაშობ! მაიცა, ტატო, აქ დაჯექი, მხოლოთ არავინ გაიგონოს ჩვენი ეს ლაპარაკი. ავმა ენებმა ჩვენი წმინდა მეგობრობა და ნათესაობა ჩაგვიშალეს.

დედაჩემმა მიბძანა, რომ ძალიან იყო გამწყრალი ჭორაობაზე და მითხრა, ეხლა უნდა გაგათხოვოვო ელიზბარ ერისთავზეო. ძალიან კარგი ყმაწვილიაო, შეძლებაც კარგი აქვსო, ჩვენივე არისო და მედნიერი იქნებიო. ბარემ ჯერ არ მინდოდა გათხოვება, მარა, ტატო, რა გაეწყობა.

მე ეგ სუყველა შენზე წინათ ვიცოდი ძალუა ელისაბედისაგან და აი ლექსები გიძღვენ. წაიღე, შეინახე, მერე წაიკითხამ. აგრეთვე ვეფხვისტყაოსანი მშვენიერათ გადამიწერეს და ფერადებით შეამკეს. იმას ხვალ შემოგიტან. იცოდე, სახსოვრათ. „სიკვდილამდე, ტატო, სიკვდილამდე!“ (სტილი დაცულია).

მაია ცერცვაძე ელისაბედ ერისთავის (1864-1949) მოგონებებს ქართული მემუარული მემკვიდრეობის „ოქროს ფონდის“ ნაწილად მიიჩნევს და გვეუბნება, რომ ეს ჩანაწერები იმაზეც მოგვითხრობს, როგორ ცხოვრობდნენ, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართველი არისტოკრატიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, რა ადარდებდათ, როგორ უყურებდნენ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორ ერთობოდნენ, რა ტრადიციები ჰქონდათ.

მოგონება კარალეთზე, ნაწყვეტი საქორწილო ნადიმის სცენიდან:

„ყველგან გაისმოდა მოძრაობა და ხმაურობა.ზოგან საკლავსა ჰკლამდნენ და ფრინველებსა, ზოგან კარაქი იდღვიბებოდა, თაფლს იღებდნენ, ხილს და ღვინოებს ამზადებდნენ. თბილისიდან ორთქმავალით მოვიდა იაშჩიკებით შამფანსკი და სხვადასხვა ღვინოები და ტკბილეულობა. გუგუშვილმა შუა ეზოში ყურძნით მოსხმული ვაზების ფანჩატური გააკეთა და ხილის ლუსტრა ჩამოჰკიდა...“

ფართოა მემუარების გეოგრაფიაც და ის სცდება საქართველოს საზღვრებს, რუსეთის მთელ იმპერიას და ევროპის ქვეყნებსაც კი სწვდება.

ვის არ ახსენებს ამ მოგონებებში ელისაბედ ერისთავი: **– ნიკოლოზ ბარათაშვილს, გრიგოლ, ალექსანდრე, დიმიტრი, ვახტანგ, ყაფლან, მანანა, მაიკო, მარიამ, კოლა ორბელიანებს, დავით ჭავჭავაძეს, ლევან მელიქიშვილს** და სხვა არაერთ ისტორიულ ფიგურას და როგორც წიგნის შემდგენელიც გვეუბნება, ერთი შეხედვით, თითქოს საყოფაცხოვრებო წვრილმანებში იმ დროის საზოგადოების ცხოვრების დეტალები იკვეთება. ხედავ, როგორ ლაპარაკობენ, როგორ იქცევიან, როგორია მათი ენა, ჩაცმულობა.

„ამ მემუარებიდან იმასაც ვიგებთ რატომ უწოდებდნენ მეჯვრისხევს „პატარა პარიზს“ ან როგორ შთანთქა ხანძარმა ტატო ბარათაშვილის ხელით გადაწერილი, ვარაყებით შემკული „ვეფხისტყაოსანი“, როგორ აღმოაჩინა ქსნის ხეობაში ერთმა ერისთავმა „პირისფერი მარმარილო“, როგორ გამოიგონა მეორემ „საფრენი მანქანა“, როგორ დაიკარგა პეტერბურგიდან შვილისა და რძლისთვის გამოგზავნილი ანასტასია ბატონიშვილის წერილებიანი ზარდახშა ან როგორ ოხუნჯობდა ფრანგი დალაქი ბერლემონი პოეტ ვახტანგ ორბელიანის სიმელოტეზე“, – წერს მაია ცერცვაძე წიგნის შესავალ წერილში.

მოგონება მარჯორი უორდროპთან შეხვედრაზე:

„მარჯორი ვორდროპი იმ საღამოს გავიცანი და ვუთხარი, ხომ კარგათ იმოგზაურეთ-მეთქი, ხომ ზღვაზე არ შეწუხდითმეთქი. პასუხათ ეს მითხრა: „არაო, დასაბამითგანვე ფურთნა არ იყოვო, ზღვა მშვიდობანი იყოვო.ძ.ჩვენი ქვეყანა როგორ მოგწონთ-მეთქი. ფრიად მომწონსო, მშვენიერიაო, სად შეისწავლეთ-მეთქი აგრე ღრმა ქართული და მიპასუხა, სახარებაზეო“...

ელისაბედ ერისთავს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. მან ღრმა სიმერემდე იცხოვრა და სიცოცხლის ბოლო წლები ახლო ნათესავებთან გაატარა.

ეკა ძევანიშვილი,
რადიო თავისუფლების
თბილისის ბიუროს ჟურნალისტი.

ელისაბედ ერისთავი თავის დასთან, ნინოსთან და მის ოჯახთან ერთად

◎ ლეგიონერი

შერმადინის MVP-ის ტიტული

ესპანეთის ლიგა ენდესას მეოთხე ტურში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ „ობრადოიროს“ უმასპინძლა და იოლად, 86:67 დაამარცხა. კანარიელებმა პირველი პერიოდი 8 ქულით წააგეს, მაგრამ შემდეგ დიდი უპირატესობა მოიპოვეს და გამარჯვება არ გასჭირვებიათ.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელი შერმადინი იყო, რომელმაც 24 წუთში 19 ქულა, 7 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 6 ორქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 27-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო და სეზონში პირველად მატჩის MVP გახდა.

„ლენოვო ტენერიფეს“ ლიგა ენდესაში 4 გამარჯვება აქვს (არცერთი წაგება) და პირველ ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 23 ოქტომბერს, „ბარსელონას“ სტუმრად შეხვდება.

◎ რინგზე

ნადავლი მუშტით

მას შემდეგ, რაც საქართველოს კრივის ფედერაციის თავკაცის დავით წიკლაურის მიერ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრზე თეა წულუკიანზე გაწევა გახმაურდა, იტალიურ მონტესილვანოში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპონატზე ჩვენი ქვეყნის დელეგაცია ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ბაკურ გოგოჭურის ხელმძღვანელობით გაემგზავრა (მთავარი მწვრთნელი – ბექა ლობჟანიძე, მწვრთნელები – ნიკოლოზ იზორია, ვეფხია ციხარიშვილი).

აღსანიშნავია, რომ 13 „ჯვაროსნიდან“ 4 სამშობლოში 2-2 ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ზვიად ჭოჭუამ** (50) და **გიორგი ნატროშვილმა** (75) ააბიჯეს, ხოლო მესამე პრიზიორები **ლევან დემუროვი** (54) და **სამველ ლაზარიანი** (80) გახდნენ.

◎ ოვალური ბურთი

„ბათუმმა“ ფლეი ოფისკენ გაიწია

რაგბი ევროპის სუპერთასზე „ბათუმმა“ ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრა მოიგო. 3 კვირის წინ ისრაელის „ჰითის“ 19:11 ძლევის შემდეგ, ზღვისპირელებმა რუმინული „ვულვზი“ 23:3 დაამაცხეს და სამი უპასუხო ლელოს გატანისთვის ბონუს-ქულაც აიღეს.

შედეგად, საქართველოს ჩემპიონს 9 საცხრილო ქულა დაუგროვდა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზეა. ის 3 ქულით ჩამორჩება ლიდერ „შავ ლომს“ და ამდენივეთი უსწრებს „ჰითს“. ხვალ თელ-ავივში სწორედ ეს გუნდები თამაშობენ და „ბათუმის“ პერსპექტივები მისი დასრულების შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდება.

რუმინულ „ვულვზს“ მასპინძლებმა მეტი მონდომების, დაცვაში კარგი გარჯის და ორგანიზებულობის ხარჯზე აჯობეს. „ბათუმი“ დომინანტი იყო შერკინებაში, ყურადღებით თამაშობდა დაცვაში და შესაძლებლობისთანავე კარგად შლიდა ბურთს ხაზზე, სადაც სტუმრებს სისწრაფეში და ინდივიდუალურ ოსტატობაში ჯაბნიდა. რუმინელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, ბურთს მეტოქეზე დიდხანს აკონტროლებდნენ და დერეფანში სრულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ გატანილ ჯარიმაში ასახეს.

ნაწვიმარ ბათუმში გუნდებმა თამაში დაზვერვით დაიწყეს. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ფიზიკურ ორთაბრძოლებში და შერკინებაში მასპინძლები არაფერს დათმობდნენ და მეტოქემ მე-13 წუთზე ჯარიმით სცადა ანგარიშის გახსნა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი იყო. „ბათუმს“ რამდენჯერმე მიეცა ხელდახელ სწრაფად შეტევის შესაძლებლობა და ორი მათგანი ლელოთი დასრულდა.

მე-18 წუთზე ფეხით დარტყმული ბურთი ცენტრალურ ხაზთან ისე ასხლტა, რომ ანზორ სიჭინავას ნადავლი შეიქმნა, ისიც უყოყმანოდ დაიძრა და ოფლოუდით ბექა ურჯუკაშვილი ცარიელ სივრცეში გაიყვანა. მანაც დაახლოებით 35 მეტრი დაფარა, აქედან ბოლო 7-8 მეტრი მცველთან ჭიდილში და

ანგარიში გახსნა. 29-ე წუთზე სწრაფი შეტევის შედეგად, რომელიც სიჭინავა-ურჯუკაშვილის დუეტმა წამოიწყო, მარჯვენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა გაჩნდა, ბურთი ბექა მამრიკიშვილამდე ჩათამაშდა და ისიც მარჯვენა ალამთან შეფრინდა. რეზი ჯინჭველაშვილმა რთული პიზიციებიდან ერთი გარდასახა – 12:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში საკუთარი გუნდის უპირატესობა ჯარიმით ჯინჭველაშვილმა გაზარდა, მაგრამ მალევე მამრიკიშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო და „ვულვზმა“ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება სცადა. მასპინძლები მათ ძალისმიერ მიძალებებს მედგრად დაუხვდნენ და რუმინელები იძულებული გახდნენ 52-ე წუთზე ჯარიმა კარში დაერტყათ.

„ბათუმმა“ სახიფათო შეტევებით უპასუხა და 62-ე წუთზე ჯინჭველაშვილმა საშუალო მანძილიდან მორიგი ჯარიმა გაიტანა, 74-ეზე კი მოლი კარგად დაიძრა, მერე ბურთი მარცხენა ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა და ვანო ფუტკარაძის პასით ლელო ანზორ სიჭინავამ გაიტანა. „ვულვზი“ ეცადა ერთი ლელოს გაქვითვას, მაგრამ ბათუმელთა დაცვა არც ამჯერად გატყდა და მათ სუპერ თასზე ბონუს-ქულით პირველი გამარჯვება იზეიმეს.

„ბათუმი“ 22 ოქტომბერს თელ-ავივში „ჰითს“ ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში, დიდი ალბათობით ფლეი ოფის საგზურს დაიბევებს.

„ვულოცავ ბიჭებს ამ გამარჯვებას. მოგებამ ფლეი ოფთან მიგვაახლოვა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. სუპერთასზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და უკვე მეორე გამარჯვება მოვიპოვეთ“ – თქვა ნამატჩევს ბათუმელთა მწვრთნელმა პალიკო ჯიმშელაძემ.

ძველი ნაცნობები

ცნობილი გახდა ნოემბერში გასამართავ ტესტ-მატჩებზე ბორჯღალოსანთა სამივე შეხვედრის მსაჯთა ვინაობა და აღსანიშნავია, რომ ყველანი ისინი ჩვენი ძველი ნაცნობები არიან.

როგორც მოგეხსენებათ, 6 ნოემბერს 2023 წლის მსოფლიოს თასის მონაწილეს ურუგვაის ვუმასპინძლებთ, მასთან ჯახს კი ახალზელანდიელი **პოლ უილიამსი** გაუძღვება, რომელმაც 2019 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოსა და ფიჯის ბრძოლა განაჯა. მისი თანამემამულე კრის ჰარტი ვიდეორეფერი იქნება, ხოლო კიდეებიდან ინგლისელი ენტონი ვუდტორფი და კანადელი თათალ შოდლი დაეხმარებიან.

12 ნოემბერს საგაისო ფრანგული ფორუმის კიდევ ერთი მონაწილე სამოა გვეწვევა და მასთან პრინციპულ დუელს ავსტრალიელი **დეიმონ მერფი** მოემსახურება, ვინც შარშან ნოემბერში საფრანგეთი – საქართველო იმსაჯა, კიდეებზე ფრანგი – ლუდოვიკ კეა და ისევ კანადელი თათალ შოდრი იდგებიან, ვიდეორეფერი კი იტალიელი სტეფანო პერეა იქნება.

დაბოლოს, დასკვნითი აკორდი: 19 ნოემბერს კარდიფში უელსს ვეთამაშებით და იქ მთავარ მსაჯად ასევე აპენინელი **ანდრეა პიარდი** იმუშავებს, რომელიც 2017 წლის 20-წლამდელთა მსოფლიოს თასზე საქართველოში იმყოფებოდა და ბორჯღალოსანთა არაერთ შეხვედრაზე დაუნიშნავთ გვერდით მსაჯად. იტალიელს თანამემამულე ჯანლუკა ნეკი და ფრანგი პიერ ბროშე დაეხმარებიან, ხოლო ვიდეო-რეფერობა ახალზელანდიელ ბრენდონ პიკერილს ანდეს. შეგახსენებთ, რომ მან 10 ივლისს ბათუმში იტალიასთან ისტორიული გამარჯვებისას გვიმსაჯა.

◎ ტატამზე

გურამ თუშიშვილის ბრინჯაო

უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში დასრულებული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ინდივიდუალური ტურნირის ბოლო დღეს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გურამ თუშიშვილმა.

ქართველმა ძიუდოისტმა (+100 კგ) ასპარეზობა მეორე წრიდან დაიწყო, სადაც იპონით იოლად დაამარცხა სლოვენიელი ვიტო დრაგიჩი, ხოლო შემდეგ გერმანელ იოჰანეს ფრაისთან უმძიმესი ბრძოლა გადახდა, სადაც შეხვედრის დასრულებამდე 15 წამით ადრე ვაზარით მარცხდებოდა, მაგრამ ბოლოს მოახერხა ვაზარით გათანაბრება, მერე კი მეტოქე შებოჭვაზე დაიჭირა და მოიგო.

თუმცა, მეოთხედფინალში ფორუმის ფავორიტმა კუბელ ენდი გრანადასთან მოულოდნელად და ძალიან სწრაფად იპონით წააგო და ოქროს შანსი დაკარგა, მაგრამ მედლისთვის ბრძოლა გააგრძელა, რადგან რეპეშაჟში უზბეკი ალიშერ იუსუპოვი იპონით დაამარცხა და ფინალურ ბლოკში ბრინჯაოს მედლისთვის გავიდა ტატამიზე, სადაც ტაჯიკ თემურ რახიმოვს ვაზარით აჯობა.

მოგეხსენებათ, თუშიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალს 2018 წელს დაეუფლა, გარდა ამისა, შარშან ტოკიოს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა და ორგზის ევროპის ჩემპიონია.

იმავე დღესვე ქალთა შორის +78 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა **სოფიო სომხიშვილმა,** რომელიც პირველივე წრეში კუბელ იდალის ორტიზთან დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ მსოფლიოს ჩემპიონატი ინდივიდუალურ პირველობაში ოთხი მედლით დაასრულა – ტატო გრიგალაშვილმა ოქრო, ლაშა ბექაურმა, ლუკა მაისურაძემ და გურამ თუშიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გუნდურ შეჯიბრში საქართველოს ნაკრები საფრანგეთის გუნდთან 1:4 დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

◎ კორტზე



სლოვაკეთშიც, ეგვიპტეშიც

განვლილ კვირაში წარმატებით ითამაშეს ქართველმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც მთავარი პრიზები მოიპოვეს.

სლოვაკურ ტრნავაში გამართული 60 000-იანი ტურნირი წყვილთა თანრიგში ბრიტანელ მაია ლამსდენთან ერთად მე-4 ნომრად განთესილმა **მარიამ ბოლქვაძემ** მოიგო, ხოლო ეგვიპტის ცნობილ კურორტ შარ-მელ-შეიხში დუბლი შეასრულა **საბა ფურცვალაძემ** (15 000-იანი ტურნირი).

ერთეულთა თანრიგის ფინალში მან იტალიელი ლორენცო როტოლი დაამარცხა – 6:3, 6:3, წყვილებში კი ყველას სლოვაკ ლუკაშ პოკორნისთან შეამხანაგებულმა აჯობა.

ალპინიზმის ოსკარი - „ოქროს წერაყინი“ ქართველ მთამსვლელებს

ქართველმა მთამსვლელებმა „ოქროს წერაყინი“ (Piolets d'Or 2022) მიიღეს. ინფორმაცია დაჯილდოების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ე.წ. ალპინიზმის ოსკარი **არჩილ ბადრიაშვილმა, გიორგი ტეფნაძემ** და **ბაქარ გელაშვილმა** პაკისტანში, სარაგრარის 7,300 მეტრის სიმაღლის აქამდე აუსვლელ ჩრდილო-დასავლეთ მწვერვალზე უმაღლესი სირთულის მარშრუტის დალაშქვრისთვის გადაეცათ.

დაჯილდოების ცერემონია საფრანგეთში, 18-20 ნოემბერს გაიმართება.

ინგა გურგენიძე ბრინჯაოს მედალოსანია



იტალიის ქალაქ ეგნაში იუნიორ გოგონებს შორის გრან-პრის ბოლო, მე-6 ეტაპი დასრულდა ფიგურულ ციგურაობაში, რომელშიც 37 ქვეყნის 44 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ქართველმა მოციგურავემ, **ინგა გურგენიძემ** ურთულესი ელემენტებით დატვირთული ორი პროგრამა წარმოადგინა მაყურებლებისა და მსაჯების წინაშე და 190.52 ჯამური ქულით მე-3 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ინგა გურგენიძემ პოზიციები მხოლოდ იაპონელ და კორეელ სპორტსმენებს დაუთმო. ახალბედა ქართველმა მოციგურავემ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა, როგორც მოკლე, ასევე თავისუფალ პროგრამაში.

თენგიზ ცერცვაძის მოხსენებამ ბრიუსელში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა

ბრიუსელში ევროპის შიდსის კლინიკური საზოგადოების (EACS) აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების მკურნალობისა და მოვლის სტანდარტების შემუშავების საკითხებზე კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის თანათავმჯდომარე დარგის ერთ-ერთ ევროპელ ლიდერთან, პროფესორ იურგენ როქსროსთან (გერმანია) ერთად პროფესორი თენგიზ ცერცვაძე იყო.

„კონფერენციაზე საქართველოდან საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით და დაფინანსებით წარმოდგენილი იყო ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ექიმების და მეცნიერების დიდი ჯგუფი (9 პიროვნება), რაც ქართული მედიცინის კიდევ ერთი აღიარებაა. პროფესორები აკაკი აბუთიძე და ფატი გაბუნია კონფერენციის ცალკეული სექციების (5 სექციის) და სამუშაო პანელების თავმჯდომარეები იყვნენ.

პროფესორი თენგიზ ცერცვაძე კონფერენციის გახსნაზე წარდგა ვრცელი ლექციით (opening speech), სადაც მან დამსწრეთ გააცნო C ჰეპატიტის ელიმინიციის და აივ-შიდსის კლინიკური მართვის ქართული მოდელები და აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან დიდი ალბათობით გახდება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელიც 2025 წლისთვის შეძლებს ქვეყანაში 21-ე საუკუნის ორი მთავარი ეპიდემიის: C ჰეპატიტის და აივ-შიდსის დასრულებას, იგულისხმება C ჰეპატიტის ელიმინაცია და აივ/შიდსის ახალი შემთხვევების მინიმალურ ნიშნულამდე (ნულთან ახლოს) დაყვანა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველო ბოლო 6 თვის მანძილზე ინარჩუნებს კოვიდით გარდაცვალების შემთხვევებს მინიმალურ ნიშნულზე და საქართველო არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც თითქმის შესაძლებელი გახდა კოვიდის, როგორც რიგითი რესპირაციული ინფექციის მართვა. მოხსენებამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

პროფესორებმა აკაკი აბუთიძემ და ფატი გაბუნიამ, აგრეთვე სხვა ქართველმა ექიმებმა ძალიან აქტიური მონაწილეობა მიიღეს აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების მკურნალობისა და მოვლის ევროპული და ნაციონალური სტანდარტების განხილვასა და შემუშავებაში. კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველო არის მსოფლიოს უპირობო ლიდერი C ჰეპატიტის ელიმინაციაში და ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა აივ-შიდსთან ბრძოლაში“.

რაჭაში დაცული ტერიტორიები იქმნება

მთავრობის ინიციატივით საქართველოს ულამაზეს მხარეში — რაჭაში დაცული ტერიტორიების შექმნა იგეგმება. შესაბამისი კანონპროექტი გამზადებულია და მასზე პარლამენტში მსჯელობენ.

რაჭის ეროვნული პარკი იქმნება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 50 835 ჰექტარს. ხოლო რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები, პატარა ღები, გონა (საერთო ფართობი — 550 ჰექტარი).

კანონპროექტის ხარჯებს სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ. 2023 წელს საჭირო იქნება დაახლოებით 1 156 400 ლარი, საიდანაც 356,400 ლარი (შრომის ანაზღაურება) გამოყოფილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 800,000 ლარი დონორი ორგანიზაციის მიერ.

კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას. კანონი დამტკიცების შემთხვევაში 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

საირმის წყალი ევროპაში პირველად გადის

„საირმის“ უნიკალური წყლის ქარხნული წარმოება 1946 წლიდან დაიწყო, თუმცა 1893-წლიდან მისი ჩამოსხმა პრიმიტიული წესით, ფარდულებში უკვე არსებობდა. 2023 წლიდან კი ქართული მინერალური საგანძური დიდ ბრიტანეთში გაიყიდება. საირმის მთების ტყეებიდან მომდინარე ეს სამკურნალო წყალი, პირველად მე-19 საუკუნეში მონადირეებმა აღმოაჩინეს. მომავალი წლიდან კი მას კონსერვატორი ინგლისელები დააგემოვნებენ.

„საირმეს“ პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემდეგ პირველად ევროპაში, სწორედ დიდ ბრიტანეთში გაიტანენ.

უკრაინაში მიმდინარე ომმა, კომპანია აიძულა სხვა გაყიდვების ბაზარი მოეძებნათ. დიდი ბრიტანეთი კი, ქართული პროდუქტით დაინტერესდა. სამწუხაროდ, საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი წლიურად 27.8%-ით შემცირდა და ქვეყანამ აღნიშნული საქონლის რეალიზებით 66.7 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო. შესაბამისად, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში მინერალურმა და მტკნარმა წყლებმა 1.9 პროცენტმიანი წილით მე-9 ადგილი დაიკავა, არადა, გასული წლის ამავე პერიოდში მე-6 ადგილს იკავებდა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მინერალური წყალი ინგლისის გარდა, სხვა ქვეყნებშიც გავა და რეალიზაციაც მოიმატებს.

ადამიანი - ბუნების მტერი

ბოლო წლების განმავლობაში კაცობრიობა, რომ დაუნდობლად ექცევა გარე-სამყაროს ახალი ხილი არ გახლავთ. როგორც ირკვევა, გარეული ცხოველების რაოდენობა დედამიწაზე კატასტროფულად იკლებს.. 1970 წლიდან მოყოლებული, გარეულ ცხოველთა პოპულაცია მსოფლიოში 69 პროცენტით შემცირდა, ყოველწლიურად კი დედამიწაზე მათი რაოდენობა 2,5 პროცენტით იკლებს. ამის შესახებ ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF) საკუთარ ანგარიშში წერს.

ყოველივე ამის მიზეზად ექსპერტები ტყეების განადგურებას, ოკეანის დაბინძურებას და კლიმატის ცვლილებას ასახელებენ. ყველაზე მეტად ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ბინადრები დაზარალდნენ, სადაც 50 წლის განმავლობაში პოპულაციები 94%-ით შემცირდა. ფონდი მოუწოდებს განვითარებულ ქვეყნებს, დედამიწის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პროგრამებზე მეტი ფული გამოყონ და როგორმე შეაჩერონ ეს საგანგაშო სტატისტიკა.

რუსუდან ქოგულია

კათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

„ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲥᲛᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ“



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახალხო არტისტის, ქართული თეატრის ლეგენდის — ზინაიდა კვერენჩხილაძის დაბადების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გამოვიდა წიგნი-ალბომი „ზინაიდა კვერენჩხილაძე —90“.

მასში წარმოდგენილ უნიკალურ ფოტოკადრებში, როგორც ინფორმაციის ვიზუალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ტრადიციულ ფორმაში, მაღალი ხელოვნების იდეასთან ერთად, გაცოცხლებულია დიდი მსახიობის შემოქმედება სცენასა და ეკრანზე.

წიგნი-ალბომი იხსნება საბა მეტრეველის წერილით „მწვერვალი არტისტული სრულქმნილებისა“, რომელშიც შეფასებულია ზინაიდა კვერენჩხილაძის ცხოვრება და შემოქმედება, მისი ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში; არტისტული პროფილის საჩვენებლად აქცენტირებულია ბავშვობისდროინდელი ანარეკლები, სცენის შიში და წყურვილი, ბრწყინვალე სპორტული კარიერა (საქართველოს ორგზის ჩემპიონი ფარიკაობაში), მერე სტუდენტობის მშფოთვარე წლები აკაკი ხორავას ჯგუფში, ტრიუმფი სტუდენტობიდანვე.

გამოყოფილია მისი მოქალაქეობრივი აქტივობები, ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებები და თავდაუზოგავი შრომა დმანისის თეატრის დასაარსებლად; საგანგებოდაა აქცენტირებული რადიოს როლი მსახიობის შემოქმედებაში, მისი მოღვაწეობა ქართულ ესტრადაზე, როგორც ახალი ეტაპი მხატვრული კითხვის ხელოვნებასა და ქართული მწერლობის პოპულარიზაციაში. ალბომში თავებადაა გამოყოფილი ექსპრომტები, ფრაგმენტები თაყვანისმცემლების წერილებიდან, მიძღვნილი ლექსები, გზა მონასტრისაკენ და ზ. კვერენჩხილაძის სახე ხელოვნებაში.

ამ ტიპის წიგნი-ალბომის შედგენა ზინაიდა კვერენჩხილაძის დიდი სურვილი იყო, რომლის განხორციელება მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. წიგნი-ალბომის შემდგენელ-რედაქტორია ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი საბა მეტრეველი, რომლისთვისაც ეს მესამე წიგნია „მსახიობის სიტყვათმეტყველებასა“ (2009) და „ტრაგიკულ ტალანტთან“ ერთად (2012) დიდი მსახიობის შესახებ დაწერილი.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ �პᲐᲠᲘᲖᲨᲘ

15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ პარიზში, უკრაინაში მოღვაწე ქართველი მხატვრის თამაზ ავალიანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია, თამაზ ავალიანის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ახალი ნახატები.

თამაზ ავალიანი შეგნებულად არ არქმევს სახელებს საკუთარ ნამუშევრებს, რითაც მაყურებელს აძლევს შესაძლებლობას, წაიკითხოს სურათი საკუთარი აღქმის პრიზმაში, საკუთარი განცდების მეშვეობით. სახელწოდება არ აქვს პარიზში დაგეგმილ გამოფენასაც. თამაზ ავალიანი გრაფიკული ხელოვნების თანამედროვე წარმომადგენელია, რომელიც არა ერთი პერსონალური გამოფენისა და კოლექტიური პროექტის მონაწილეა სხვადასხვა ქვეყანაში. პერიოდულად ქმნის კერძო კოლექციებს უკრაინაში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და აშშ-ში. გამოფენა, რომელიც პარიზის საგამოფენო სივრცეში MAISON BRUNEAU გაიმართა, 17 ოქტომბერს დაიხურება. საქველმოქმედო გამოფენიდან შემოსული თანხა უკრაინის დახმარების ფონდში გადაირიცხება.

„ᲓᲘᲛᲝᲠᲤᲘ“ ᲓᲐ „ᲓᲘᲓᲘᲛᲘ“ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ

ᲜᲐᲡᲐᲡ განცხადებით, ასტეროიდ „დიმორფის“ ორბიტა ზონდ DART-თან შეჯახების შემდეგ შეიცვალა, როგორც ამას მისია ითვალისწინებდა. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ შეჯახების შემდეგ „დიმორფის“ უფრო მსხვილი ასტეროიდის - „დიდიმის“ გარშემო ორბიტალური ბრუნვის დრო 32 წუთით შემცირდა — 11:55 საათიდან 11:23 საათამდე. ამასთან, შეიცვალა ორი ასტეროიდის განლაგება ერთმანეთის მიმართ.

ახლა „დიმორფი“ და „დიდიმი“ დედამიწიდან 11 მილიონი კილომეტრის მანძილზე არიან და ჩვენი პლანეტისთვის საფრთხეს ნებისმიერ შემთხვევაში არ წარმოადგენენ. ზონდი Dart-ი ასტეროიდ „დიმორფს“ 27 სექტემბერს შეეჯახა. ეს ისტორიაში პირველი მისიაა, რომლის მიზანიც ციური სხეულის ტრაექტორიის შეცვლა იყო. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საბოლოო ჯამში, ეს შეჯახება მათ დედამიწისთვის პოტენციურად სახიფათო ასტეროიდებისთვის ტრაექტორიის შეცვლის მექანიზმის ტესტირება იყო.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲙᲐᲢᲐ

ᲙᲐᲢᲐ სახელად ფენრირი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე მაღალი შინაური კატა მსოფლიოში.

კატის სიმაღლე 47,83 სანტიმეტრია. ის აშშ-ში, მიჩიგანში, ექიმ ჯონ პაუერსთან ცხოვრობს. ფენრირი სავანას ჯიშის კატაა. ეს ჰიბრიდული ჯიში შინაური კატისა და აფრიკული სერვალის ნაჯვარია. ფენრირის ბაბუა, სახელად კონგო ყველაზე მაღალი ველური კატის ტიტულის მფლობელი იყო, მისი სიმაღლე შთამომავლებს გადაეცათ. პაუერსის კიდევ ერთი კატა — მეინ-კუნი სახელად ალტაირი ასევე გინესის რეკორდსმენია, როგორც შინაურ კატებს შორის ყველაზე გრძელი კუდის მფლობელი — 40,83 სანტიმეტრი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲐᲚᲣᲢᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ...

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ, გალერეაში Newport Street Gallery ბრიტანელი მხატვრის, დემიენ ჰირსთის გამოფენა „ვალუტა“ მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც ის ათასობით თავის ნამუშევარს წვავს.

ექსპოზიცია ჰირსთის NFT პროექტის ნაწილია, რომელიც მან ჯერ კიდევ 2016 წელს დაიწყო. ამისთვის მან 10 ათასი ნახატი შექმნა, შემდეგ კი მყიდველებს, რომლებმაც NFT შეიძინეს, არჩევანი მისცა — ნამუშევრის ფიზიკურ ასლზე გადაცვლა ან ელექტრონული ვერსიის შენარჩუნება. იმ ნახატებს, რომელთა მფლობელებმაც NFT-ს შენარჩუნება გადაწყვიტეს, ჰირსთი წვავს. პროექტი 9 სექტემბერს დაიწყო და 30 ოქტომბერს დასრულდება.

„ეს პროექტი ხელოვნებისა და ვალუტის საზღვრებს იკვლევს — როდესაც ხელოვნება იცვლება და ვალუტა ხდება და როდესაც ვალუტა ხდება ხელოვნება. დამთხვევა არ არის, რომ სახელმწიფოები ხელოვნებას იყენებენ მონეტებსა და კუპიურებზე. ამას იმისთვის აკეთებენ, რომ ფულის გწამდეს. ხელოვნების გარეშე რთულია რაღაცის გვწამდეს“, — ამბობს მხატვარი. NFT ფიზიკურ ასლზე 5 149 მყიდველმა გადაცვალა, 4851-მა კი NFT-ს შენარჩუნება არჩია.

ᲢᲠᲝᲐᲡ ᲝᲛᲘ — ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐᲖᲔ

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ქალაქ რასტანში აღმოაჩინეს ძველი რომაული მოზაიკა, რომელზეც ანტიკური მითოლოგიის სცენებია გამოსახული. არტეფაქტი ძალიან კარგ მდგომარეობაშია. მეცნიერების თქმით, მოზაიკა ბოლო 11 წლის განმავლობაში სირიაში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

მოზაიკა დატანილია IV საუკუნის შენობის იატაკზე. შენობა ლიბანელმა ბიზნესმენებმა ამოისყიდეს და სირიის ხელისუფლებას გადასცეს. მოზაიკის ფართობი 120 კვადრატული მეტრია. გამოსახულება ძალიან დეტალიზებულია და მასზე დატანილია როგორც ძველი ბერძნული, ასევე ძველი რომაული მითოლოგიის სიუჟეტები.

ᲤᲠᲔᲓᲘ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

Ჯ�გᲣᲤᲛᲐ Queen ახალი სიმღერა Face it Alone გამოუშვა, რომელშიც ვოკალურ პარტიას ფრედი მერკური ასრულებს.

ჩანაწერი 1988 წელს არის გაკეთებული, როდესაც ჯგუფი ალბომზე The Miracle მუშაობდა, თუმცა ჯგუფს ამ კომპოზიციის შესახებ არ ახსოვდა. ჩანაწერი ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს. გიტარისტ ბრაიან მეის არ ეგონა, რომ ჩანაწერი ახალი კომპოზიციის გამოსაშვებად საკმარისი იყო.

„ბევრჯერ გადავხედეთ და ვფიქრობდით: „არა, ამას ვერ გადავარჩენთ. მაგრამ ჩვენ ინჟინრების საოცარმა გუნდმა გვითხრა: „შეგვიძლია ასე და ასე გავაკეთოთ“. ეს ნაწილების შეერთებას ჰგავს, მაგრამ ლამაზი დ გულისამაჩუყებელია“, — ამბობს მეი. მერკურის გარდაცვალების შემდეგ Queen-ს ახალი მუსიკის გამოშვება არ შეუწყვეტია, თუმცა Face it Alone ბოლო 8 წლის განმავლობაში პირველი კომპოზიციაა, რომელშიც ლეგენდარული მომღერლის ხმა ისმის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲥᲐᲕᲥᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ა

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7741; ᲔᲕᲠᲝ - 2.6970
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.0923;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3673; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1492;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6309;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8742.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+21
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+6,	ᲓᲦᲔ	+17
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+23
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7	ᲓᲦᲔ	+21
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+14,	ᲓᲦᲔ	+20

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge